საქართველოს სახალხო დამცველი

ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში

2016 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი

2018

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) არის გაერთიანებული ერების სააგენტო, რომელიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის დაარსების მიზანს წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქალთა და გოგონათა ინტერესების დაცვა და მათი პრიორიტეტების დაკმაყოფილება. გაეროს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს გაერთიანებული ერების წევრ სახელმწიფოებს გენდერული თანასწორობის მიღწევის საყოველთაო სტანდარტების შემუშავებაში; თანამშრომლობს მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურების შექმნის პროცესში. გაეროს ქალთა ორგანიზაცია ხელს უწყობს ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა თანაბარ მონაწილეობას და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ხუთ ძირითად მიმართულებაზე: ქალთა ლიდერობისა და მონაწილეობის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა, სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესების ყველა ასპექტში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის პრინციპების, როგორც მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, ინტეგრირება ქვეყნის განვითარების დაგეგმვისა და ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესებში. ამასთან, გაეროს ქალთა ორგანიზაცია ახორციელებს გაეროს სისტემაში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციასა და წახალისებას. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (United Nations) ან რომელიმე მისი წევრი ორგანიზაციის მოსაზრებებს. გამოცემა მომზადდა გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)

შინაარსი:

შესავალი 4

1. კვლევის მეთოდოლოგია 6

1.1. ფემიციდის დეფინიცია 7

1.2. ფემიციდის ძირითადი მახასიათებლები 8

1.3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რომელ მუხლებში უნდა ვეძებოთ ფემიციდი 9

1.4. ფემიციდის იდენტიფიცირების სირთულეები და იდენტიფიცირების გზები 10

2. კვლევის მეთოდი 12

3. ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეთა მონიტორინგის შედეგები 14

3.1 სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები 18

3.2 ძალადობის წინარე ისტორია 19

3.3 ფემიციდის კვალიფიკაცია 21

3.4 სასჯელის დანიშვნისას სასამართლოს მიერ მხედველობაში მიღებული გარემოებები 22

4. დასკვნა 24

რეკომენდაციები: 26

დანართი 1: 2016 წელს ქალთა მკვლელობებთან დაკავშირებით პროკურატურის სტატისტიკა 27

დანართი 2: განხილულ საქმეთა დეტალური ანალიზი 28

შესავალი

ფემიციდი, ანუ ქალებისა და გოგოების გენდერული ნიშნით მკვლელობა[1] გენდერული უთანასწორობის ყველაზე სასტიკ გამოვლინებას წარმოადგენს. სამწუხაროდ, 2011 წელს ჩატარებული ჰომიციდის გლობალური კვლევის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ჰომიციდის[2] რიცხვი მცირდება, იზრდება ფემიციდის რაოდენობა.[3] შესაბამისად, ფემიციდი წარმოადგენს გლობალურ პრობლემას, რომლის გადასაჭრელად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ თანმიმდევრული, კოორდინირებული და თანასწორობაზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელება.

2013 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია ფემიციდის შესახებ. რეზოლუცია მოუწოდებს წევრ ქვეყნებს მიიღონ ყველა შესაძლო ზომა, რომელიც მიმართული იქნება ქალებისა და გოგოების გენდერული ნიშნით მკვლელობების აღმოსაფხვრელად, მათ შორის, ერთ-ერთ ინსტრუმენტად რეზოლუცია მოუწოდებს სახელმწიფოებს ფემიციდის ფაქტებზე მონაცემების შეგროვებას, მათ ანალიზსა და შედეგების გაზიარებას, იმისათვის, რომ კიდევ უფრო დაიხვეწოს კანონმდებლობა და პოლიტიკა მსგავსი დანაშაულის პრევენციისა და აღმოფხვრისთვის.[4]

ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა დუბრავკა სიმონოვიჩმა 2015 წელს მოუწოდა გაეროს წევრ სახელმწიფოებს, მიზანმიმართულად ემუშავათ გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების პრევენციაზე და ამ მიზნით შეექმნათ გენდერული ნიშნით ქალთა მკვლელობებზე ზედამხედველობის, იგივე ფემიციდის მონიტორინგის სისტემა.[5]

2016 წლის 15-19 თებერვალს, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ დუბრავკა სიმონოვიჩი. ვიზიტის მიზანი იყო იმ გამოწვევებისა და ხარვეზების შესწავლა, რომლებიც სახელმწიფოს ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მი-

---

[1] ტერმინი ფემიციდი გამოიყენება XIX საუკუნის დასაწყისიდან ქალთა მკვლელობების აღსაწერად. ტერმინის დეფინიციისა და მისი მნიშვნელობის ევოლუციის შესახებ მსჯელობა იხილეთ ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის 2012 წლის ანგარიშში (UN/A/HRC/20/16) გვ. 6-7, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ohchr.org/Documents/HRBodies/HRCouncil/RegularSession/Session20/A.HRC.20.16_En.PDF [ბოლოს ნანახია 12 აპრილს]

[2] ჰომიციდი - ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის განზრახ, ან გაუფრთხილებლობით მკვლელობა

[3] United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), 'The Global Study on Homicide', Vienna, UNODC publication, 2011; ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.unodc.org/documents/data-and-analysis/statistics/Homicide/Globa_study_on_homicide_2011_web.pdf [ბოლოს ნანახია 12 აპრილს]

[4] United Nations, A/RES/68/191, გვ. 4, (პუნქტი 7), ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://www.unodc.org/documents/commissions/CCPCJ/Crime_Resolutions/2010-2019/2013/General_Assembly-/A-RES-68-191.pdf [ბოლოს ნანახია 12 აპრილს]

[5] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ohchr.org/en/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=16796 [ბოლოს ნანახია 12 აპრილს]

ზეზებისა და შედეგების აღმოფხვრის ვალდებულების შესრულებისას გამოიკვეთა. სპეციალურმა მომხსენებელმა შეხვედრები გამართა სამთავრობო უწყებების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან.

გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა საბოლოო ანგარიშში ხაზი გაუსვა გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ საქართველოსთვის 2014 წლის ივლისში მიცემულ რეკომენდაციებს, ინტიმური პარტნიორის მიერ ქალთა მკვლელობების შემთხვევებზე პრევენციული ღონისძიებების გატარების თაობაზე. სპეციალური მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ხშირად, როდესაც მკვლელობა ჩადენილი იყო ყოფილი ან მოქმედი პარტნიორის მიერ, დაზარალებულებს ძალადობის შესახებ არაერთხელ ჰქონდათ გაცხადებული პოლიციაში, თუმცა ადეკვატური და ეფექტური დაცვის ღონისძიებები არ განხორციელებულა.

აქედან გამომდინარე, დუბრავკა სიმონოვიჩმა კიდევ ერთხელ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას შექმნას „ფემიციდის მონიტორინგის მექანიზმი“ იგივე „გენდერული ნიშნით ჩადენილი ქალთა მკვლელობების მონიტორინგის მექანიზმი“, ყოველწლიურად უზრუნველყოს ფემიციდის შემთხვევების შესახებ მონაცემების შეგროვება და 25 ნოემბერს გამოქვეყნება. ამ ინიციატივის მთავარი მიზანი თითოეული ფემიციდის საქმის დეტალური ანალიზია, რათა იდენტიფიცირებულ იქნას დაცვის ღონისძიებების ხარვეზი, შემდგომში, სისტემაში არსებული ნაკლის გამოსწორებისა და განვითარების მიზნით.[6]

გაეროს სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციის შესრულების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა 2016 წლის 25 ნოემბერს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ტექნიკური მხარდაჭერით, „ფემიციდის მონიტორინგის მექანიზმის“ შექმნის თაობაზე მზადყოფნა განაცხადა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი წარმოადგენს ეროვნულ ინსტიტუტს, რომელიც ქვეყანაში ადამიანის უფლებებს იცავს. მინიჭებული მანდატის ფარგლებში, „ფემიციდის მონიტორინგის მექანიზმის“ საშუალებით, სახალხო დამცველის მიზანია გააანალიზოს ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობების, მკვლელობის მცდელობისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის თითოეული საქმე, რათა იდენტიფიცირებულ იქნას ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვის მექანიზმის ხარვეზები შემდგომში ამ მექანიზმების დახვეწისა და განვითარების მიზნით.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შემუშავებულ სპეციალურ ანგარიშს ფემიციდის მონიტორინგის მექანიზმის ფარგლებში. ანგარიშში გაანალიზებული დანაშაულები ჩადენილია 2016 წელს. ვიმედოვნებთ, წარმოდგენილი მიგნებები და რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება ფემიციდის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

---

[6] UN, *Report of the Special Rapporteur on violence against women, its causes and consequences on her mission to Georgia*, A/HRC/32/42/Add.3, 22 July 2016, 6, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ohchr.org/Documents/Issues/Women/SR/A.HRC.32.42.Add.3.pdf [ბოლოს ნანახია 12 აპრილს]

1. კვლევის მეთოდოლოგია

1.1 ფემიციდის დეფინიცია

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ფემიციდის საყოველთაოდ შეთანხმებული განმარტება. ტერმინს „ფემიციდი“ არ იცნობს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები, მათ შორის გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია და ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ (სტამბოლის კონვენცია). ტერმინი არასდროს გამოუყენებია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თუმცა, იგი გვხვდება ინტერ-ამერიკული სასამართლოს პრაქტიკაში, გაეროს გენერალური ასამბლეის 68-ე[7] და 70-ე რეზოლუციებში[8] და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე გაეროს სპეციალური მომხსენებლების დოკუმენტებში.

ტერმინი „ფემიციდი“ 1970-იანი წლებში ფემინისტმა სოციოლოგმა დიანა რასელმა დაამკვიდრა. „ფემიციდის“, როგორც ცალკე მდგომი ტერმინის პოლიტიკური მიზანია აღიაროს და გამოააშკარაოს ქალთა დისკრიმინაცია, ჩაგვრა, უთანასწორობა და სისტემური ძალადობა, რომლის კულმინაცია არის ძალადობის ყველაზე უკიდურესი ფორმა - ქალის სიცოცხლის მოსპობა.[9]

წინამდებარე კვლევის მიზნებისათვის და საქართველოში არსებული ფემიციდის ტენდენციებიდან გამომდინარე და ლათინო-ამერიკულ სამოდელო ოქმზე დაყრდნობით, შესაძლებელია ფემიციდის შემდეგი განმარტების გამოყენება:

> *ფემიციდი არის გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა, ანუ ქალის მკვლელობა, რომლის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი კავშირშია ქალის მიმართ გენდერულ ძალადობასთან, დისკრიმინაციასთან, ან ქალის დაქვემდებარებულ როლთან, რაც გამოიხატება ქალზე უფლებების ქონის სურვილით, ქალთან შედარებით უპირატესი მდგომარეობით, ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულებით, მისი ქცევის კონტროლით, ან მის გენდერთან დაკავშირებული სხვა მიზეზით. ასევე ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანა ზემოაღნიშნული მიზეზებით.*

ფემიციდი, ქალის სხვა ნიშნით და მიზეზებით ჩადენილი მკვლელობებისგან, ან მამაკაცის მკვლელობისგან, განსხვავდება შემდეგი ნიშნებით: მკვლელობა ხდება საზოგადოებაში ქალის დაქვემდებარებული როლის და სოციალურ-კულტურული ნორმების ზეგავლენის შედეგად, რომლებიც აღიარებს მამაკაცის უპირატესობას და რომელთათვისაც ქალის სიცოცხლე ნაკლებ პატივისცემას იმსახურებს. კულტურული ელემენტები უბიძგებს დამნაშავეს დაიჯეროს, რომ მას აქვს უფლება გადაწყვეტილება მიიღოს ქალის ქცევის, სხეულისა თუ

[7] ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.un.org/en/ga/68/resolutions.shtml [ბოლოს ნანახია 12 აპრილს]

[8] ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.un.org/en/ga/70/resolutions.shtml [ბოლოს ნანახია 12 აპრილს]

[9] Diana E. H. Russel, and Roberta A. Harmes. Femicide in Global Perspective („ფემიციდი გლობალურ კონტექსტში''). New York: Teachers College, 2001. Print. გვ. 77-78

სიცოცხლის თაობაზე და თუ ეს უკანასკნელი არ დაემორჩილება - დასაჯოს კიდეც. ფემიციდი ინარჩუნებს და განამტკიცებს დაქვემდებარებულობისა და ჩაგვრის სოციალურ და კულტურულ ნორმებს, რაც, ხშირ შემთხვევაში, საშუალებას აძლევს დამნაშავეს შეაფასოს მკვლელობა, როგორც მისი „მამაკაცური ღირსების“ საქმე.[10]

1.2 ფემიციდის ძირითადი მახასიათებლები

ქალის მკვლელობის ფაქტი ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ჩადენილია ფემიციდი. გენდერთან დაკავშირებული ქალთა მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმის (*შემდგომში*: ლათინო-ამერიკული სახელმძღვანელო ოქმი) მიხედვით, ფემიციდის არსებობისთვის აუცილებელია, რომ მკვლელობა (ქალის გარდაცვალება) უკავშირდებოდეს ქალის გენდერულ იდენტობას - უნდა არსებობდეს გარკვეული ნიშნები, რომ მკვლელობის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი კავშირშია გენდერულ ძალადობასთან ან/და დისკრიმინაციასთან.[11] თუ არ არსებობს მსგავსი ნიშნები, ქალის მკვლელობა იქნება ჰომიციდი და არა ფემიციდი.

თუმცა აუცილებელია, რომ სახელმწიფომ და სამართალდამცავმა ორგანოებმა იმოქმედონ იმ დაშვებით, რომ ქალის ყველა მკვლელობის საქმე ფემიციდს წარმოადგენს და მხოლოდ გენდერული მოტივის არ არსებობის შემთხვევაში მოახდინონ საქმის კვალიფიკაცია ჩვეულებრივ ჰომიციდად.

მამაკაცის მიერ ქალის სიცოცხლის მოსპობა შესაძლოა დაკვალიფიცირდეს ფემიციდად, თუ დანაშაულის ჩადენის მოტივი კავშირშია ქალის მიმართ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებასთან ან გენდერული ძალადობის ზოგად კონტექსტთან. ფემიციდის ჩადენის მოტივი ასევე დაკავშირებულია დამნაშავის მიერ მსხვერპლის დაქვემდებარებულ ობიექტად აღქმასთან, რომელიც უნდა ემორჩილებოდეს მამაკაცს, როგორც დომინანტ და უპირატესობის მქონე სუბიექტს.[12]

სასამართლო საქმეების ანალიზისას, წინამდებარე კვლევისათვის მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული ფემიციდის მოტივის ნიშნები, კერძოდ:

- მსხვერპლის მიმართ დისკრიმინაციული ან სექსისტური დამოკიდებულება;
- მესაკუთრული დამოკიდებულება;
- ქცევის კონტროლი;
- სტერეოტიპული გენდერული როლების მორჩილების მოთხოვნა.

---

[10] იხ. ლათინო-ამერიკული სახელმძღვანელო ოქმი, გვ. 36

[11] Latin American Model Protocol for the Investigation of Gender-related Killings of Women (femicide/feminicide) (“ქალთა გენდერთან დაკავშირებული მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმი’’ - შემდგომში: ლათინო-ამერიკული სახელმძღვანელო ოქმი), ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი ლათინურ ამერიკაში, ISBN 978-9962-5559-0-2, გვ. 13-14.

[12] იხ. ინტერ-ამერიკული სახელმძღვანელო ოქმი (იხ. ზემოთ), გვ. 35.

მსხვერპლის დაუმორჩილებლობა და აღნიშნული მოთხოვნის წინააღმდეგ წასვლა - დამნაშავის მიერ დანაშაულის ჩადენის მიზეზი/მოტივი.

1.3 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რომელ მუხლებში უნდა ვეძებოთ ფემიციდი

საქართველოს კანონმდებლობა „ფემიციდს“ არ ითვალისწინებს არც ცალკე მდგომ მუხლად, არც სხვა დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად - მკვლელობის ჩადენა გენდერის ნიშნით არ არის გამოყოფილი, როგორც განზრახ მკვლელობის დამამძიმებელი გარემოება. შესაბამისად, ფემიციდის დანაშაულების სხვა სახის მკვლელობებისგან განცალკევებული კლასიფიკაცია და სტატისტიკის წარმოება არ ხდება.

ფემიციდი შესაძლოა გამოიკვეთოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით დაკვალიფიცირებულ დანაშაულებში:

- განზრახ მკვლელობა (სსკ მუხლი 108);
- განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში (სსკ მუხლი 109);
- განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (სსკ მუხლი 111);
- ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 117.2);[13]
- თვითმკვლელობამდე მიყვანა (სსკ მუხლი 115).

ამასთან, ფემიციდი ასევე შესაძლებელია გამოიკვეთოს შემდეგ მუხლებში:

- გაუპატიურება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 137.4.ბ);
- სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 138.3.ბ);
- უკანონო აბორტი, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 133.3);
- სტერილიზაცია თანხმობის გარეშე, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 133^{1}.3);
- ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 133^{2}.3);

[13] სსკ 117.2 მუხლით დაკვალიფიცირებული დანაშაული ფემიციდი არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა დანაშაულის არასწორი კვალიფიკაცია - როდესაც სწორი კვალიფიკაციის შემთხვევაში დანაშაული იქნებოდა განზრახ მკვლელობა (სსკ 108-ე მუხლი), ან განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში (სსკ 109-ხე მუხლი).

- ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 143[1].4.ბ);
- წამება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 144[1] .3.გ).

ზემოხსენებული მუხლებით შეიძლება კვალიფიცირდებოდეს როგორც ფემიციდი, ისევე სხვა დანაშაულები, რომელთაც არავითარი შემხებლობა არ აქვს გენდერულ მოტივთან. აქედან გამომდინარე, იმისთვის, რომ განისაზღვროს იყო თუ არა დანაშაული ფემიციდი, უნდა მოხდეს ზემოხსენებულ მუხლებზე თითოეული განაჩენის გაანალიზება, სადაც მსხვერპლი ქალია, და საქმის გარემოებების მიხედვით განსაზღვრა, თუ რომელ შემთხვევაში არის დანაშაული ფემიციდი.

1.4 ფემიციდის იდენტიფიცირების სირთულეები და იდენტიფიცირების გზები

ჩადენილ დანაშაულებში ოჯახური ფემიციდის იდენტიფიცირებას ამარტივებს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1] მუხლი, რომელიც განსაზღვრავს, თუ კოდექსის რომელი მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა წარმოადგენს ოჯახურ[14] დანაშაულს. აქედან გამომდინარე, ოჯახური ფემიციდის (მეუღლის/ცოლის ან ყოფილი მეუღლის მკვლელობა გენდერის ნიშნით) იდენტიფიცირება შესაძლებელია, თუ ზემოხსენებული მუხლები სისხლის სამართალის კოდექსის 11[1] მუხლთან ერთად არის დაკვალიფიცირებული.

ამის მიუხედავად, ფემიციდი არ არის მხოლოდ და მხოლოდ ოჯახში ჩადენილი ქალის მკვლელობა - მეუღლის ან ყოფილი მეუღლის მკვლელობა. ფემიციდი არის ქალის ყველა მკვლელობა (ოჯახში თუ მის გარეთ), რომელიც უკავშირდება გენდერულ დისკრიმინაციას, ქალის ქცევის კონტროლს, მის მიმართ მესაკუთრულ დამოკიდებულებას, გენდერულ ძალადობას ან/და სუბორდინაციას. ასევე, ფემიციდად შეიძლება ჩაითვალოს ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანა (სსკ 115-ე მუხლი), ოჯახში თუ ოჯახის გარეთ, ზემოხსენებული მიზეზებით. ყველაზე ხშირ შემთხვევებში, როდესაც ხდება ქმრის/ყოფილი ქმრის მიერ ცოლის/ყოფილი ცოლის მკვლელობა (და დანაშაული კვალიფიცირდება 11[1] მუხლით), დანაშულის გარემოებები აჩვენებს, რომ სწორედ ფემიციდთან გვაქვს საქმე.

ამასთანავე, განზრახ მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებად კანონმდებელი დისკრიმინაციულ მოტივსაც მოიაზრებს. მკვლელობა, რომელიც ჩადენილია რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო (სსკ. 109.2 მუხლი), უფრო მკაცრად ისჯება (თავისუფლების აღკვეთა ვადით 13-დან 17 წლამდე), ვიდრე მკვლელობა დამამძიმებელი

[14] ამ მუხლის მიზნებისათვის ოჯახის წევრად ითვლება: მეუღლე, დედა, მამა, პაპა, ბებია, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებელის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), მეურვე, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

გარემოებების არარსებობისას(თავისუფლების აღკვეთა 7-დან 15 წლამდე). როგორც ხედავთ, სსკ. 109.2 მუხლი დამამძიმებელ გარემოებად არ მოიაზრებს დისკრიმინაციას სქესის/ გენდერის საფუძველზე, რაც ფემიციდის შემდგენელი ნაწილია. აქედან გამომდინარე, გენდერული ნიშნით ჩადენილი მკვლელობა, სხვა დამამძიმებელი გარემოებების არარსებობის შემთხვევაში, სსკ 109-ე მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თუ დანაშაულის ჩადენის მოტივია გენდერის ნიშნით განპირობებული დისკრიმინაცია - სსკ 53[1] მუხლის (სსკ 53.3[1] მუხლი ამოღებულია) თანახმად, ეს გარემოება ამძიმებს ჩადენილი ქმედების ხარისხს და იგი მხედველობაში მიიღება/უნდა მიიღებოდეს სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის დროს:

დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის;

დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, არასრულწლოვნის მიმართ ან მისი თანდასწრებით, განსაკუთრებული სისასტიკით, იარაღის გამოყენებით ან იარაღის გამოყენების მუქარით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.

ასე, რომ ფემიციდის იდენტიფიცირებისთვის ყველაზე შესაბამისი, (თუმცა არასაკმარისი) საშუალებაა სსკ 53[1] მუხლით, ასევე 11[1] მუხლით დაკვალიფიცირებული ზემოხსენებული დანაშაულების კვლევა.

2. კვლევის მეთოდი

ფემიციდის საქმეების მონიტორინგის მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეებთან დაკავშირებით ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან და საერთო სასამართლოებიდან.

როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო და უზენაესი სასამართლოებიდან ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა რამდენიმე ეტაპად.

ყველა პირველი ინსტანციის, აგრეთვე ქუთაისის და თბილისის სააპელაციო და უზენაესი სასამართლოდან გამოვითხოვეთ 2016 წელს ჩადენილი მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის საქმეებთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ასლები.

ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლითაც შესაძლებელი იყო ფემიციდის შემთხვევების დაკვალიფიცირება, კერძოდ: განზრახ მკვლელობა (სსკ მუხლი 108), განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში (სსკ მუხლი 109), განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (სსკ მუხლი 111), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 117.2), თვითმკვლელობამდე მიყვანა (სსკ მუხლი 115), სსკ-ის 19, 108-ე და 19, 109-ე მუხლი (დანაშაულის მცდელობა).

დამატებით გამოვითხოვეთ სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენები სისხლის სამართლის იმ მუხლებთან დაკავშირებით, სადაც შესაძლებელია ასევე გამოკვეთილიყო ფემიციდი. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 137.4.ბ გაუპატიურება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა, მუხლი 138.3.ბ - სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის გარდაცვალება, მუხლი 133.3 - უკანონო აბორტი, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა, მუხლი 133^1.3 - სტერილიზაცია თანხმობის გარეშე, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, მუხლი 133^2.3 - ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, მუხლი 143^1.4.ბ - ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, მუხლი 144^1.3.გ - წამება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. უნდა აღინიშნოს რომ ხსენებულ მუხლებთან დაკავშირებით განაჩენი არცერთ სასამართლოს არ მოუწოდებია.

სულ საერთო სასამართლოებიდან სახალხო დამცველის აპარატს მიეწოდა 53 განაჩენი.[15] მიღებული განაჩენების გაცნობის შემდგომ საქმის მასალების გამოთხოვა გადაწყდა მხოლოდ 19 საქმეზე. 27 განაჩენის შემთხვევაში დანაშაული არ იყო მომხდარი 2016 წელს, ხოლო 7 შემთხვევაში არ იკვეთებოდა დანაშაულის ჩადენის გენდერული მოტივი. 19 საქმის მასალის გაცნობის შემდეგ, კვლევისთვის მხოლოდ 11 შეირჩა, ვინაიდან დანარჩენ 8 შემთხვევაში დანაშაული არ იყო ჩადენილი გენდერული ნიშნით.[16]

---

[15] რამდენიმე სასამართლომ 2 ჯერ გამოაგზავნა ერთი და იგივე განაჩენი; ზოგიერთ საქმეზე სააპელაციომ და პირველმა ინსტანციამ გამოაგზავნა ერთი და იგივე განაჩენი. სულ ასეთი იყო 5 განაჩენი, ამიტომ აღნიშნული რაოდენობაში არ არის ჩათვლილი.

[16] აღსანიშნავია, რომ ვინაიდან სასამართლოები არ ახორციელებენ ჩვენს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის, ასევე განაჩენების სტატისტიკურ აღრიცხვას, ამასთან მოთხოვნილი ინფორმაციის მოძიება და დამუშავება დიდ დროსა და სასამართლოს რესურს მოითხოვდა, ინფორმაციის მიღება სასამართლოების მხრიდან რთული პროცესი იყო. შედეგად, აღნიშნული მეთოდით გამოთხოვილი ინფორმაციის ანალიზისას, კვლევას არ აქვს პრეტენზია სტატისტიკურ სიზუსტეზე და იგი აანალიზებს მხოლოდ იმ საქმეებს, რომელთა შესახებაც მოხდა სასამართლოების მიერ განაჩენისა და საქმის მასალების მოწოდება.

3. ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეთა მონიტორინგის შედეგები

დანაშაული შესაძლოა დაკვალიფიცირდეს ფემიციდად, თუ დანაშაულის ჩადენის მოტივი კავშირშია ქალის მიმართ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებასთან ან გენდერული ძალადობის ზოგად კონტექსტთან. ფემიციდის ჩადენის მოტივი ასევე დაკავშირებულია დამნაშავის მიერ მსხვერპლის დაქვემდებარებულ ობიექტად აღქმასთან, რომელიც უნდა ემორჩილებოდეს მამაკაცს, როგორც დომინანტ და უპირატესობის მქონე სუბიექტს.[17] შესაბამისად, თუ დანაშაულის ჩადენის მოტივია გენდერის ნიშნით განპირობებული დისკრიმინაცია - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის თანახმად, ეს გარემოება ამძიმებს ჩადენილი ქმედების ხარისხს და იგი მხედველობაში მიიღება/უნდა მიიღებოდეს სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის დროს.

მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული მუხლის გამოყენება სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს საგამოძიებო ორგანოს როლი, რომელმაც უნდა მოიპოვოს მტკიცებულებები დისკრიმინაციული მოტივის შესახებ და სასამართლოში წარადგინოს. მოსამართლე მოკლებულია შესაძლებლობას დამოუკიდებლად მოიპოვოს მტკიცებულებები, მისი როლი ამ მხრივ პასიურია და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში მხარეებთან შეთანხმებით დასაზუსტებელი კითხვით შემოიფარგლება, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად.[18] ამ პირობებში, ბრალდების მხარის მიერ სათანადო მტკიცებულებების წარუდგენლობა სასამართლოს შესაძლო დისკრიმინაციული მოტივის გამოვლენის შესაძლებლობას ართმევს.

კვლევის ფარგლებში სასამართლოებიდან გამოთხოვილ იქნა განაჩენები სისხლის სამართლის საქმეებზე და საქმის მასალები. სახალხო დამცველის აპარატმა შეაფასა, როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე სასამართლოში საქმის განხილვისას გამოვლენილი ხარვეზები. შესწავლილი საქმეებიდან, ყველა შემთხვევაში, შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები დროულად და გაჭიანურების გარეშეა ჩატარებული, თუმცა 3 საქმეში დაზარალებულის უფლებამონაცვლედ დროულად ცნობის პრობლემა გამოვლინდა.[19]

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა სულ 11 განაჩენი:[20] ფემიციდის 7 შემთხვევა, მათ შორის ერთი ტრანსგენდერი ქალის ფემიციდის შემთხვევა და ფემიციდის მცდელობის 4 შემთხვევა. ფემიციდის საქმეებზე გაანალიზებული 7 განაჩენიდან 2 განაჩენი გამოიტანა თელავის რაიონულმა სასამართლომ, ხოლო დანარჩენი 5 თბილისის საქალაქო სასამართლომ. თითოეულ შემთხვევაში დანაშაული მომხდარია 2016 წელს.

---

[17] იხ. ინტერ-ამერიკული სახელმძღვანელო ოქმი (იხ. ზემოთ), გვ. 35.

[18] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლი

[19] ესენია: 1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 1 დეკემბრის განაჩენი საქმის ნომერი: 1/3395-16; 2. თელავის რაიონული სასამართლოს, 2016 წლის 12 ივლისის განაჩენი, საქმის ნომერი: 1/73-16; 3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 8 თებერვლის განაჩენი, საქმის ნომერი: 1/4057-16

[20] კვლევის მეთოდების შესახებ დეტალურად იხილეთ დანართი N1.

სტატისტიკური ინფორმაცია

ფემიციდი:

დანაშაულის ჩამდენი პირი:

ოჯახის წევრი - 5 შემთხვევა:
- კაცი პარტნიორი - 4 შემთხვევა
- შვილი (კაცი) - 1 შემთხვევა

ნაცნობი კაცი - 1 შემთხვევა

უცნობი კაცი - 1 შემთხვევა

მოტივი: სასამართლომ დანაშაულის ჩადენის მოტივი მხოლოდ 6 საქმეში გამოყო, საიდანაც:

შურისძიება ექვიანობის ნიადაგზე - 2 საქმე
შურისძიება - 1 საქმე
დანაშაულის დაფარვა - 1 საქმე
ყოფითი პრობლემები -1 საქმე
ურთიერთშელაპარაკება - 1 საქმე

ფემიციდის ჩადენის ადგილი:

- მსხვერპლის საცხოვრებელი სახლი - 3 შემთხვევაში
- საჯარო სივრცე (ქუჩა, სკოლის ეზო, ტყე) – 4 შემთხვევაში

დანაშაულის იარაღი:

- დანა - 3
- დანა და ბეტონის ფილა - 1
- ცეცხლსასროლი იარაღი - 1
- ცემა - 1
- ავტომობილის დაჯახება და ქვის მრავალჯერადი ჩარტყმა - 1

სასჯელი: სასამართლომ 6 საქმე არსებითად განიხილა, ხოლო 1 საქმეზე დაიდო საპროცესო შეთანხმება. ფემიციდისთვის რეალური სასჯელის მინიმალური სახე და ზომა იყო 5 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და 3 წლით პირობითი მსჯავრი . ხოლო მაქსიმალური, 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. 1 შემთხვევაში სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად, რადგან ბრალდებული სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გარდაიცვალა.

ფემიციდის 7 საქმიდან 4 საქმეში მითითებულია, რომ მოძალადემ დანაშაული ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ჩაიდინა

განათლება და დასაქმება: ფემიციდის 4 საქმიდან ოთხივე შემთხვევაში მოძალადეს საშუალო განათლება აქვს მიღებული და ოთხივე უმუშევარია. დანარჩენი 3 საქმის მასალების არ ქონის გამო დასაზუსტებელია, მხოლოდ 1 განაჩენში წერია რომ მოძალადეს საშუალო განათლება აქვს მიღებული)

ეთნიკური წარმომავლობა: შესწავლილი ფემიციდის საქმეებიდან 2 შემთხვევაში, როგორც ბრალდებული ისე მსხვერპლი იყვნენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები

ფემიციდის მცდელობა:

დანაშაულის ჩამდენი პირი:

ფემიციდის მცდელობის 4-ვე შემთხვევაში დანაშაული ჩადენილია ოჯახის წევრის მიერ. აქედან 2 შემთხვევაში მკვლელობის მცდელობა ჩადენილია ქმრის/კაცი პარტნიორი მიერ, ხოლო 2 შემთხვევაში ყოფილი ქმრის/კაცი პარტნიორის მიერ.

დანაშაულის ჩადენის ადგილი:

ფემიციდის მცდელობის ჩადენის ადგილი 2 შემთხვევაში იყო მსხვერპლის საცხოვრებელი სახლის ეზო, ხოლო დანარჩენ 2 შემთხვევაში საჯარო სივრცე - ქუჩა და სასაფლაოს ტერიტორია.

დანაშაულის კვალიფიკაცია:

3 შემთხვევაში დანაშაული დაკვალიფიცირდა განზრახ მკვლელობის მცდელობად (11[1]-19-108-ე მუხლით), ხოლო ერთ შემთხვევაში, თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანის მუხლით (11[1]-115-ე მუხლი).

მოტივი:

სასამართლომ დანაშაულის ჩადენის მოტივი მხოლოდ 2 საქმეებში გამოყო. 1 საქმეში მოტივად მითითებულია შურისძიება, ხოლო ერთ საქმეში ურთიერთშელაპარაკება.

სასჯელი:

სასამართლომ ყველა საქმე არსებითად განიხილა, შესაბამისად, საპროცესო შეთანხმება არცერთ საქმეზე არ ყოფილა გაფორმებული. ფემიციდის მცდელობისთვის რეალური სასჯელის მინიმალური სახე და ზომა იყო 4 წელი პირობითი მსჯავრი, ხოლო მაქსიმალური 11 წლით თავისუფლების აღკვეთა

დანაშაულის იარაღი:

- ჩაქუჩი - 1 შემთხვევა
- ნაჯახი - 1 შემთხვევა
- დანა - 1 შემთხვევა
- სისტემატიური ოჯახში ძალადობა - 1 შემთხვევა

განათლება:

ფემიციდის მცდელობის 4 საქმიდან, 3 საქმეში მოძალადეს მხოლოდ საშუალო განათლება აქვს მიღებული (ერთ საქმის მასალებიდან ეს ინფორმაცია არ ჩანს).

3.1 სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები

კვლევის მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაანალიზებულ ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის ყველა საქმეში, დამნაშავის მხრიდან მსხვერპლის მიმართ დისკრიმინაციული/სექსისტური დამოკიდებულება, მესაკუთრული დამოკიდებულება, ქცევის კონტროლი ან/და გენდერული როლების მორჩილების მოთხოვნა იკვეთება, ხოლო დამნაშავის მიერ დანაშაულის ჩადენის ცალსახა მიზეზი/მოტივი მსხვერპლის დაუმორჩილებლობა და მოძალადის გენდერულად განპირობებული მოთხოვნის წინააღმდეგ წასვლაა.

დანაშაულის ჩადენის გენდერული მოტივი იკითხება ბრალდებულის, დაზარალებულისა და სხვა მოწმეთა ჩვენებებში, სადაც ხშირია გენდერულად განსაზღვრული ლექსიკის გამოყენება, როგორიცაა დაზარალებულის მიერ აღნიშვნა, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების შემდეგ „ემსახურება ქმარს და ოჯახს“, ხოლო ბრალდებულთა ჩვენებებში იკვეთება, რომ ისინი ძალადობრივი ფაქტის ჩადენისას გამოდიან „ოჯახის უფროსის“ პოზიციიდან, ქალის გენდერული როლის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, რასაც, ხშირ შემთხვევაში წინ უსწრებს სახლიდან გასვლის, კომუნიკაციის, მუშაობის აკრძალვა სისტემატური დამცირებისა და ძალადობის ფონზე.

მიუხედავად ამისა, საქმეთა უმრავლესობაში (მხოლოდ ერთი საქმეა გამონაკლისი) არც პროკურატურის ორგანოს და არც სასამართლოს არ გაუმახვილებია ყურადღება დისკრიმინაციულ მოტივზე. რიგ საქმეებში დანაშაულის ჩადენის მოტივი დასახელებული არ არის, რიგ საქმეებში კი დანაშაულის ჩადენის მიზეზად ყოფითი მოტივია მითითებული, როგორიც არის ურთიერთშელაპარაკება, შურისძიება, განაწყენება და ეჭვიანობა. შესაბამისად, ამ თავში განხილულია ის საქმეები, სადაც ხარვეზები გამოვლინდა ფემიციდის ან ფემიციდის მცდელობის იდენტიფიცირებისა და სახელდების დონეზე.

განხილული საქმეებიდან მხოლოდ ერთ საქმეში[21] იმსჯელა სასამართლომ შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის[22] მე-3[1] ნაწილის შესაბამისად (ძველი რედაქცია), რა დროსაც დაადგინა, რომ დანაშაულებრივი ქმედება მისი მასშტაბების გათვალისწინებით მომეტებული საშიშროების მატარებელია. მსჯელობისას სასამართლოს დისკრიმინაციული მოტივი არ

[21] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 1 დეკემბრის განაჩენი, საქმის ნომერი: 1/3395-16

[22] სსკ-ის მუხლი 53[1] - სასჯელის დამამძიმებელი გარემოებები: 1. დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის. 2. დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, არასრულწლოვნის მიმართ ან მისი თანდასწრებით, განსაკუთრებული სისასტიკით, იარაღის გამოყენებით ან იარაღის გამოყენების მუქარით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის

დაუსახელებია, თუმცა დისკრიმინაციული მოტივის შესახებ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი მითითებულია. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სახელდების პრობლემა არ წყდება მაშინაც კი, თუ მოსამართლე უთითებს მოტივის შესახებ შესაბამის მუხლს, რადგან „ფემიციდად“ და „გენდერული ნიშნით ჩადენილ მკვლელობად“ საქმის იდენტიფიცირება არ ხდება.

გამოთხოვილი საქმის მასალების ანალიზიდან ირკვევა, რომ გარდა სახელდების პრობლემისა, ერთ საქმეში მოსამართლის შესაძლო არაეთიკური დამოკიდებულება ჩანს. კერძოდ, მოსამართლემ ბრალდებულის საბოლოო სიტყვისას განაცხადა, რომ მითითებული გარემოებები შეიძლება განმეორებულიყო, რადგან, „[დაზარალებულის ფსიქიკური] ჯანმრთელობის მდგომარეობა ჩანს, რომ მძიმეა და ისედაც ეტყობა.“ აღსანიშნავია, რომ მოსამართლემ დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა ისე შეაფასა რომ საქმეში რაიმე დოკუმენტი არ ყოფილა, რაც მოსამართლეს ხსენებული შეფასების შესაძლებლობას მისცემდა.

აღსანიშნავია, რომ ტრანსგენდერი ქალის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე სავარაუდო სიძულვილის მოტივის დასადგენად არ ჩატარებულა სრულყოფილი გამოძიება. განსაკუთრებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გამოძიების პირველივე დღიდან ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია მიუთითებდა შესაძლო ტრანსფობიურ დანაშაულზე. საქმის მასალების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სავარაუდო სიძულვილის მოტივის დასადგენად გამოძიება არასრულყოფილად წარიმართა.

რაც შეეხება სასჯელის განსაზღვრას, მართალია, მსჯავრდებულს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციის (თავისუფლების აღკვეთა 7-15 წლამდე) ფარგლებში მაღალი სასჯელი (თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით) დაენიშნა, მოსამართლემ საერთოდ არ იმსჯელა იმავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-3[1] ნაწილით გათვალისწინებულ (განაჩენის გამოტანის დროს მოქმედი რედაქცია) სასჯელის დამამძიმებელ გარემოებაზე: დანაშაულის ჩადენა სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით. განაჩენში აღნიშნულია, რომ მსჯავრდებულს შემამსუბუქებელი გარემოება არ გააჩნია, ხოლო დამამძიმებელი გარემოებაა პირობით მსჯავრის ქვეშ დანაშაულის ჩადენა.

3.2 ძალადობის წინარე ისტორია

ფემიციდი, ან ფემიციდის მცდელობა, უმრავლეს შემთხვევაში არის იმ სისტემატური და ციკლური ძალადობის კულმინაცია, რომელსაც ქალები გარდაცვალებამდე ან დაზარალებამდე განიცდიან. შესაბამისად, დანაშაულის ფემიციდად ან ფემიციდის მცდელობად კვალიფიკაციის დროს, ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს იმის გამოკვლევას, განიცდიდა

თუ არა მსხვერპლი დამნაშავის მხრიდან გენდერულ დისკრიმინაციას ან/და ძალადობას მკვლელობის ჩადენამდე.[23] ძალადობის წინა ისტორიის გამოკვლევა, მნიშვნელოვანია დანაშაულის მოტივის გამოკვლევისა და სასჯელის დანიშვნისათვის.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციის შესახებ ევროსაბჭოს 2011 წლის 12 აპრილის კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად, მხარეებმა უნდა მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო თუ სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებანი, რამდენადაც ისინი ჯერ კიდევ არ ქმნის დანაშულის შემადგენელი ელემენტების ნაწილს, შიდა კანონის შესაბამისი დებულებების თანახმად, შეიძლება იყოს მიღებული მხედველობაში, როგორც დამამძიმებელი გარემოებები ამ კონ-ვენციით დადგენილი დანაშაულებების მიმართ განაჩენის განსაზღვრის დროს, თუ:

- ✔ დანაშაული ჩადენილი იყო ყოფილი ან ამჟამინდელი მეუღლის ან პარტნიორის მიმართ, როგორც ამას აღიარებს შიდა კანონი, ოჯახის წევრის მიერ, პირის მიერ რომელიც დაზა-რალებულთან ერთად ცხოვრობდა, ან პირის მიერ რომელმაც ბოროტად გამოიყენა სა-კუთარი ძალაუფლება;
- ✔ დანაშაული ან მასთან დაკავშირებული დანაშაულები ჩადენილ იქნა არაერთხელ;
- ✔ დანაშაული ჩადენილი იყო პირის მიმართ, რომელიც გარკვეული გარემოებების გამო დაუცველი გახდა;
- ✔ დანაშაული ჩადენილი იყო ბავშვის მიმართ ან ბავშვის თანდასწრებით;
- ✔ დანაშაული ჩადენილი იყო ორი ან მეტი ადამიანის მიერ ერთობლივად;
- ✔ დანაშაულს წინ უსწრებდა ან თან სდევდა უკიდურესი ძალადობა;
- ✔ დანაშაული ჩადენილი იყო იარაღის ან იარაღის მუქარის გამოყენებით;
- ✔ დანაშაულმა მძიმე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა დაზარალებულს;
- ✔ დამნაშავე ადრეც ყოფილა მსჯავრდებული მსგავსი ხასიათის დანაშაულებებისათვის.

საქმის მასალების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ საქმეში საერთოდ არ იყო მითითებული იმის შესახებ, რომ დაზარალებულს/მსხვერპლს მიმართული ჰქონდა სამართალდამცავი უწყებებისადმი მის მიმართ ძალადობის ფაქტების გამო და აღნიშნული შემთხვევების იდენტიფიცირება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ სახალხო დამცველი საკუთარი მანდატის ფარგლებში სწავლობდა კონკრეტულ ოჯახში ძალადობის/ ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებს.

აღნიშნული უმრავლეს შემთხვევაში იკითხება თავად დაზარალებულის, ბრალდებულის ან სხვა მოწმეთა ჩვენებებიდან. აღსანიშნავია, რომ არც ერთ საქმეში გამოძიების ორგანოს არ მოუპოვებია დამატებითი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, მიმართული ჰქონდა თუ არა მსხვერპლს ან სხვა პირს ოჯახში შესაძლო ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით, რა ღონისძიებები გაატარეს სამართალდამცავმა უწყებებმა და რატომ ვერ მოხდა ფემიციდის ან

[23] ინტერ-ამერიკული სახელმძღვანელო ოქმი (იხ. ზემოთ). გვ. 53.

ფემიციდის მცდელობის თავიდან აცილება. რაც შეეხება სასამართლოს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოწმეთა ჩვენებებიდან ნათლად იკვეთება ძალადობის დისკრიმინაციული მოტივი, იგი დისკრიმინაციულ მოტივზე სასჯელის განსაზღვრისას მსჯელობას ხსენებულ საქმეებთან დაკავშირებით არ ავითარებს.

ხსენებულ საქმეებზე ძალადობის წინა ისტორიის გათვალისწინება, რაც ხშირ შემთხვევაში გულისხმობს სისტემატიურ და განგრძობით ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობას, არც მოტივის გამოკვლევისას ყოფილა გათვალისწინებული და არც სასამართლოს მიერ ყოფილა მხედველობაში მიღებული როგორც დამამძიმებელი გარემოება.

გაანალიზებული 11 საქმიდან 8 შემთხვევაში იკვეთება, რომ დანაშაულის ფაქტამდე მსხვერპლი დანაშაულის ჩამდენი პირის მხრიდან ძალადობას განიცდიდა, აქედან 6 შემთხვევაში ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის ფაქტამდე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ინფორმირებული იყო ოჯახში არსებული შესაძლო ძალადობის ფაქტების შესახებ.[24]

3.3 ფემიციდის კვალიფიკაცია

ფემიციდის საქმეებზე მნიშვნელოვანია, დანაშაულის კვალიფიკაცია შეესაბამებოდეს ჩადენილი ქმედების სიმძიმეს. სხვა შემთხვევაში, შეუძლებელია გენდერულად მგრძნობიარე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის არსებობა, სადაც ქალთა მიმართ ჩადენილ დანაშაულების ბრალდების და სასამართლო ორგანოების მიერ სათანადო აღიარება, კვალიფიკაცია და დასჯა ხდება.

თელავის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში კვალიფიკაციის აშკარა პრობლემა გამოვლინდა.[25] კერძოდ, ბრალდების დადგენილების თანახმად, მოძალადეს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1], 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის (განზრახ მკვლელობა), მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ საქმეში აშკარად იკვეთება ის გარემოება, რომ მოძალადე მსხვერპლის ნების საწინააღმდეგოდ თხოვდა ქმედების განხორციელებას – სახლის გადაფორმებას და მიზნის მიღწევის მიზნით ფიზიკურად იძალადა, რის შედეგადაც მსხვერპლი გარდაიცვალა. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას განზრახი მკვლელობისათვის. მოცემული ნორმის მატერიალური შინაარსი – ქმედება მიიჩნევა „მარტივ მკვლელობად“, ვინაიდან ის არ გულისხმობს არც მის მაკვალიფიცირებელ გარემოებებს და არც პრივილეგიური შემადგენლობის არსებობას. ხსენებული მუხლით გათვალისწინებული მკვლელობის სავალდებულო ობიექტის ნიშანს წარმოადგენს დანაშაულებრივი შედეგი

[24] კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით შეტყობინებების შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის იხ. დანართი N2

[25] თელავის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 12 ივლისის განაჩენი, საქმე N 1/73-16

– სიკვდილი, რომელიც ჩადენილია მოქმედებით ან უმოქმედოდ. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს განზრახვა პირდაპირია თუ არაპირდაპირი. რაც შეეხება მოტივს, იგი შეიძლება გააჩნდეს სხვადასხვა: ეჭვიანობა, ხულიგნობა, ქვენაგრძნობა და სხვა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ვინაიდან სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს სიცოცხლის დაცვა, იგი ვალდებულია უმოტივო მკვლელობებზეც კი იმსჯელოს.

მოცემულ საქმეში ასევე ყურადსაღებია მსხვერპლის ასაკი, მისი ჯანმრთელობის მდგმარეობა და მოძალადის მიერ მისთვის მიყენებული დაზიანებების ხარისხი, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სრულიად გაუგებარია რამ განაპირობა საქმეზე, ბრალდებულის სასარგებლოდ დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლა. საქმეს ბუნდოვანებას მატებს, ისიც რომ გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია.[26]

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალის წინააღმდეგ ჩადენილ გენდერულად მოტივირებულ საქმეებზე მნიშვნელოვანია ბრალდების მხარე საქმეს სწორ კვალიფიკაციას აძლევდეს, რათა შესაბამისად მოხდეს დანაშაულის ჩამდენი პირისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება.

3.4 სასჯელის დანიშვნისას სასამართლოს მიერ მხედველობაში მიღებული გარემოებები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. გამომდინარე, იქიდან რომ სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენების უმრავლესობაში (მხოლოდ 1 საქმეა გამონაკლისი) დისკრიმინაციული მოტივი დადგენილი არ არის, შესაბამისად აღნიშნული არც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებადაა მითითებული.

გაანალიზებული საქმეებიდან, რიგ შემთხვევებში სასამართლო უთითებდა, რომ საქმეში არ არსებობდა დამამძიმებელი ან/და შემამსუბუქებელი გარემოებები, ხოლო რიგ საქმეებში აღნიშნული გამოყო:

[26] გ. მ-ს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციისათვის იხ. დანართი N2 (თელავის რაიონული სასამართლო საქმე N1/73-16)

- სასამართლოს განაჩენებში პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მითითებულია პირის ნასამართლობა, ასევე ერთ-ერთ განაჩენში პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მითითებულია დანაშაულის ჩადენის მოტივი - შურისძიება და ქმედების განხორციელების სახე - დანაშაული ჩადენილია, ტურისტული სეზონის დროს, ზღვისპირას, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას;

- რაც შეეხება შემამსუბუქებელ გარემოებებს, განაჩენებში დასახელებულია, რომ დამნაშავე ხასიათდება დადებითად (თუმცა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რას გულისხმობდა სასამართლო არ დაუკონკრეტებია), აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, ითანამშრომლა გამოძიებასთან და ხელი შეუწყო სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას. შემამსუბუქებელ გარემოებად ასევე დასახელებული იყო ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი ქცევა სასამართლო პროცესზე და დამოკიდებულება პროცესისადმი.

უნდა აღინიშნოს, რომ დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებთან ერთად სასამართლო სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში ასევე იღებდა დაზარალებულის პოზიციას (ჰქონდა თუ არა პრეტენზია), დაზარალებულის და ბრალდებულის შერიგების საკითხს, დაზარალებულის მდგომარეობას (გადარჩა თუ არა, თუ გამოჯანმრთელდა) ასევე, იყო თუ არა ბრალდებული ოჯახის მარჩენალი, ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, ბრალდებულის ასაკს, ბრალდებულის თანამშრომლობას გამოძიებასთან.

გაანალიზებული განაჩენებიდან არცერთ შემთხვევაში ოჯახში ძალადობის წინა ისტორია სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებული არ ყოფილა, ამ მხრივ გამონაკლისია ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს განაჩენი,[27] სადაც აღნიშნულია, რომ ბრალდებულს პასუხისმგელობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები არ გააჩნია, თუმცა სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლომ სხვა გარემოებებთან ერთად მხედველობაში მიიღო, რომ დანაშაული ჩადენილი იყო 3 არასრულწლოვანი შვილის დედის მიმართ, დანაშაულის ჩადენამდე ბრალდებული მეუღლეზე ახორციელებდა ზეწოლას, ასევე გაითვალისწინა ის გარემოება რომ დანაშაულის ჩადენის შემდგომ ბრალდებული კვლავ აგრძელებდა მსხვერპლის მიმართ სატელეფონო მუქარას და ნანობს მხოლოდ იმას, რომ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა.

[27] საქმე N 1-275/16

4. დასკვნა

ფემიციდის მაღალი რაოდენობა ქვეყანაში მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც ქვეყანაში არსებულ გენდერულ უთანასწორობასთან, ისე ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პოლიტიკასთან და ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა სისტემის ნაკლოვანებებთან. შესაბამისად, ხარვეზების გამოსასწორებლად აუცილებელია სისტემური ნაბიჯების გადადგმა. განხილული საქმეებიდან ნათლად ჩანს, რომ სასამართლო არ მსჯელობს დანაშაულის შესაძლო გენდერულ მოტივზე, მაშინაც კი, თუ გამოძიების დონეზე მოპოვებული მტკიცებულებებიდან (მაგ. მოწმეთა ჩვენებები) ნათლად იკვეთება, რომ ფემიციდს ან ფემიციდის მცდელობას აქვს ადგილი. შეიძლება ითქვას, რომ არსებობს სახელდების პრობლემა სასამართლო ეტაპზე.

რაც შეეხება გამოძიებას, გაანალიზებულ საქმეთა შორის სახალხო დამცველმა ის საქმეებიც შეისწავლა, სადაც საქმის მასალებიდან არ იკვეთებოდა ან/და ბუნდოვანი იყო მიმართული ჰქონდა თუ არა მსხვერპლს/დაზარალებულს სამართალდამცავი ორგანოებისათვის წინარე ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც წინარე ძალადობა დასტურდება მოწმეთა ჩვენებებით. ამ საქმეებზე, წინარე ძალადობის შესახებ სამართალდამცავი სტრუქტურებისადმი მიმართვის ფაქტის დადგენა მხოლოდ იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი სწავლობდა კონკრეტულ საქმეებს მისი მანდატიდან გამომდინარე და აპარატისთვის ცნობილი იყო სამართალდამცავი უწყებებისადმი მიმართვისა და მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების შესახებ.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მოქმედი მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სისტემა არაეფექტურია, თუ გაანალიზებული 11 საქმიდან 6 საქმეში მსხვერპლს მიმართული ჰქონდა სამართალდამცავი უწყებებისადმი და მათ ვერ მოახერხეს ძალადობის რისკის იდენტიფიცირება და საქმის სათანადო მონიტორინგი, რაც დაზარალებულის/მსხვერპლის დაცვისა და გადარჩენის წინაპირობა შესაძლოა ყოფილიყო.

განხილული საქმეებიდან სამართალდამცავი უწყებებისადმი მიმართვის პრობლემაც იკვეთება. რამდენიმე საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ჰქონდა სისტემატიურ ძალადობას, მსხვერპლი/დაზარალებული თავს იკავებდა ძალადობის ფაქტების შესახებ პოლიციაში გაცხადებისაგან. ამასთან, გაანალიზებული სასამართლო გადაწყვეტილებებიდან იკვეთება სასამართლოს მიერ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე გენდერულად მგრძნობიარე ენის გამოყენების პრობლემა. რიგ შემთხვევებში ეს შესაძლოა ეხებოდეს მსხვერპლის დადანაშაულებას რაც შესაძლოა, იწვევდეს სასამართლო ეტაპზე მსხვერპლის მეორად ვიქტიმიზაციას.

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია მოხდეს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის, ასევე სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით სრულყოფილი სტატისტიკის წარმოება, რათა გაანალიზდეს ის ხარვეზები და ნაკლოვანებები რაც გააჩნია ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სისტემას და რომლის შედეგიც არის ფემიციდის მაღალი რიცხვი საქართველოში.

- მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს დაზარალებულთა/მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სისტემების სრულყოფა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძალადობის რისკის შეფასების მეთოდოლოგიისა და საქმეთა მონიტორინგის სახელმძღვანელო პრინციპების არსებობა სამართალდამცავი უწყებებისათვის.

- აუცილებელია მოხდეს გენდერული ძალადობის საქმეებზე არსებული შეტყობინებების ერთობლიობაში განხილვა, რადგან სპორადულად ძალადობის კონკრეტულ ინციდენ-ტებთან ბრძოლა არ იძლევა სასურველ შედეგს მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კუთხით.

- აუცილებელია, ძალადობის თითოეული საქმის ანალიზისას მხედველობაში იქნას მი-ღებული ქვეყანაში არსებული მდგომარეობა გენდერული თანასწორობის კუთხით და ყოველ ჯერზე ზოგად სურათთან კავშირში მოხდეს გენდერული ძალადობის რისკის შეფასება.

- აუცილებელია მოხდეს ფემიციდის, როგორც გენდერული ნიშნით მოტივირებული მკვლე-ლობის გამოყოფა სისხლის სამართლის კოდექსში, რაც გაზრდის ქალთა მიმართ ჩადე-ნილი გენდერული მკვლელობების/მკვლელობის მცდელობების სწორად სახელდების შესაძლებლობებს და შესაძლებელი იქნება შედარებით ზუსტი სტატისტიკის წარმოება.

- აუცილებელია, სასამართლო ეტაპზე, ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეებში მოხდეს გენდერული მოტივის გამოყოფა. მნიშვნელოვანია სასამართლო ავითარებდეს მსჯელობას გენდერულ მოტივთან დაკავშირებით და არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ მუხლის მითითებით.

- მნიშვნელოვანია ასევე, საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელდეს ძალადობის წინარე ისტორიის მასალების მოძიება და მხედველობაში მიღება, ასევე დისკრიმინაციული მოტივის დასადგენად სათანადო მტკიცებულებების მოძიება.

- მნიშვნელოვანია, შემამსუბუქებელი გარემოებების მითითებისას, მოძალადის პიროვნების შეფასებისას სასამართლოს მიერ გათვალისწინებულ იქნეს დანაშაულის სპეციფიკა.

დანართი 1
2016 წელს ქალთა მკვლელობებთან დაკავშირებით პროკურატურის სტატისტიკა

საქართველოს მთავარი პროკურატურის მონაცემებით 2016 წელს 32 ქალის მკვლელობის ფაქტი დაფიქსირდა საიდანაც 14 (43,8%) ჩადენილი იყო ოჯახის წევრის მიერ, ხოლო 18 (56,2%) სხვა პირობებში; 9 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ქალის მკვლელობის მცდელობას საიდანაც 5 შემთხვევა მოხდა ოჯახური დანაშაულის ნიშნით, 4 საქმეში კი გამოიკვეთა სხვა მოტივი.

ოჯახური დანაშაულის ნიშნით მომხდარი 14 შემთხვევიდან სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 12 შემთხვევაში, აქედან 8 შემთხვევაში 11^1-108-ე მუხლით, 3 შემთხვევაში 11^1-109-ე მუხლით, 1 შემთხვევაში 117 (6) მუხლით[28]; 2 შემთხვევა დასრულდა ბრალდებულის თვით-მკვლელობით, შესაბამისად დევნა არ დაწყებულა.

დევნა შეწყდა შერაცხადობის გამო 4 შემთხვევაში, დევნის მიმდინარეობისას ბრალდებულის გარდაცვალების გამო - 1 შემთხვევაში, დარჩენილი 7 საქმე წარიმართა სასამართლოში და გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი[29].

სხვა მოტივით ჩადენილი ქალის მკვლელობის 18 შემთხვევიდან 3 ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება.3შემთხვევაშიარგამოიკვეთასისხლისსამართლისკოდექსითგათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები და შეწყდა გამოძიება. 12 მკვლელობის საქმეზე დევნა დაიწყო 10 პირის მიმართ, გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 9 პირის მიმართ, 1 პირის მიმართ შეწყდა დევნა ვინაიდან ბრალდებული გარდაიცვალა.[30]

საქართველოს მთავარი პროკურატურის მონაცმებით, 2016 წელს გამოძიება დაიწყო 9 ქალის მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, აქედან 5 ქალის მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო ოჯახური დანაშაულის ნიშნით და 4 პირის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა. მათგან, 3 შემთხვევაში სსკ-ის 11^1-19-108-ე მუხლით, 1 პირის

---

[28] 11^1-108-ე მუხლი - მკვლელობა ოჯახის წევრის მიერ; 11^1 – 109-ე მუხლი - დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობა ოჯახის წევრის მიერ; მუხლი 117 (6) ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. ოჯახის წევრი - დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, მინდობით აღსაზრდელი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

[29] ქალთა მიმართ ჩადენილი მკვლელობების სისხლისსამართლებრივი ასპექტები, საქართველოს მთავარი პროკურატურა, 2017. ხელმისაწვდომია ონ-ლაინ: http://pog.gov.ge/res/docs/public_information/qaltamkvlelobebisanalizi.pdf

[30] საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილი N 13/72420; 08/11/2017

მიმართ 11^1-19-109-ე მუხლით.[31] ყველა ბრალდებულის მიმართ სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. სხვა ნიშნით 4 ქალის მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ, აქედან 3 პირის მიმართ საქართველოს სსკ-ის 19-108-ე მუხლით; ხოლო 19-109-ე მუხლით[32] 1 პირის მიმართ. ყველა ბრალდებულის მიმართ სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი.[33]

დანართი 2: განხილულ საქმეთა დეტალური ანალიზი ფემიციდის საქმეები

1. ე. პ.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/3158-16)

- **ფაქტების აღწერილობა – საქმის ფაბულა**

2016 წლის 4 აპრილის ბრალდების დადგენილების თანახმად, ე.პ.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1, 108 -ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედებისთვის - განზრახ მკვლელობა. 2016 წლის 3 აპრილს ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ე.პ.-მ, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, მოკვლის განზრახვით არაერთი ჭრილობა მიაყენა მეუღლეს გულმკერდისა და ზურგის არეში. მსხვერპლი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

2016 წლის 4 აპრილს სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა.

2016 წლის 14 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ე.პ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1, 108-ე მუხლებით განსაზღვრული ქმედების ჩადენისთვის და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. პროკურატურა არ დაეთანხმა აღნიშნულ გადაწყვეტილებას და გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, ვინაიდან დანაშაული ჩადენილი იყო განსაკუთრებული სისასტიკით და ბრალდებულმა მეუღლეს ცივი იარაღით მიაყენა 21 ჭრილობა, პროკურატურამ მოითხოვა მკაცრი სასჯელი, რაც სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა და ე.პ.-ს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

---

[31] 11^1-19-108-ე მუხლი - მკვლელობის მცდელობა ოჯახის წევრის მიერ; 11^1 –19- 109-ე მუხლი - დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობა ოჯახის წევრის მიერ

[32] 19-108-ე მუხლი მკვლელობის მცდელობა; 19-109-ე მუხლი დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობა

[33] საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილი N 13/81465; 14/12/2017

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2016 წელს ე.პ. იყო 50 წლის, ხოლო პ.პ. - 48 წლის. მათ 2 შვილი ჰყავდათ, 27 წლის ნ.პ. და 24 წლის ხ.პ.. ე.პ-ს მიღებული აქვს საშუალო განათლება და 2016 წელს დროებით უმუშევარი იყო. ასევე ირკვევა, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში იგი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. აღნიშნულ ფაქტს არასრულწლოვნები არ შესწრებიან.

• გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

გამოძიება სისხლის სამართლის N010030416001 საქმეზე დაიწყო ინფორმაციის (გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდან მიღებული შეტყობინება – 112) მიღებისთანავე, 2016 წლის 3 აპრილს, თბილისის შსს დეტექტივების სამმართველოს I განყოფილებაში, სსკ-ის 108-ე მუხლით. 4 აპრილს კვალიფიკაცია შეიცვალა და გამოძიება გაგრძელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1], 108-ე მუხლებით.

ყველა შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება დროულად, გაჭიანურების გარეშე ჩატარდა. მოწმეთა დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციიდან იკვეთება ბრალდებულის დაზარალებულისადმი დამოკიდებულების/მოპყრობის მოტივი

მსხვერპლის ოჯახის წევრები (შვილები) აღნიშნავენ, რომ ბრალდებული მეუღლეს სისტემატიურად ამცირებდა და აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას, ურტყამდა სახის და სხეულის არეში, რის გამო მსხვერპლი განიცდიდა ფიზიკურ ტკივილს. მსხვერპლის ძმა აღნიშნავს, რომ ერთხელ დას თავზე დაზიანებები შეატყო, რის გამოც იგი საავადმყოფოში წაიყვანა დახმარების აღმოსაჩენად და სამართალდამცავ ორგანოებსაც მიმართა. მისივე გადმოცემით „ე. გააფრთხილეს“ – ხოლო მსხვერპლი შვილების გამო შეურიგდა.

ბრალდებულისა და მსხვერპლის შვილების ჩვენებით დასტურდება მეუღლეებს შორის ხშირი კამათის, ხმამაღალი საუბრის, ცოლზე ფიზიკური ძალადობის ფაქტები. ამას გარდა, ერთ–ერთი მათგანი პრაქტიკულად შეესწრო მკვლელობის ფაქტს, ხოლო ბრალდებულის ჩვენების თანახმად, მეორე შვილს შეხვდა კიბეებზე, რომელსაც უთხრა „დედაშენს მიხედე მგონი მოვკალიო“, რის შემდეგაც სცადა მიმალვა.

2016 წლის 14 ივნისს ნ.პ. ცნეს დაზარალებულის უფლებამონაცვლედ, მასვე განემარტა უფლებები, თუმცა საქმეში არსებული დოკუმენტებიდან არ ირკვევა პოზიცია – სურდა თუ არა მასალების გაცნობა.

ე.პ. დააკავეს 2016 წლის 3 აპრილს (06:23 საათზე) სასამართლოს განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე. იგი იმავე დღეს დაიკითხა და აღიარა დანაშაული. გასათვალისწინებელია, რომ არსებობდა შესაძლო მიმალვის საფუძველი, ვინაიდან ბრალდებული აცნობიერებდა ქმედების მართლწინააღმდეგობას და შეეძლო განესაზღვრა მოსალოდნელი შედეგი, თუმცა მას განსაცდელში მყოფი მეუღლის დახმარება არ განუზრახავს და სახლიდან წავიდა.

• სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები

2016 წლის 30 ივნისს სასამართლომ დაამტკიცა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, მხარეთა მიერ მტკიცებულებების სადავოდ არ გახდომის გამო, არსებითი განხილვის სხდომაზე მტკიცებულებათა გამოკვლევა არ მომხდარა. ამასთან, ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 14 ივნისის განაჩენით ე.პ. სასამართლომ დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1], 108-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედებისთვის – განზრახ მკვლელობა. სასამართლომ აღნიშნა, რომ **ბრალდებულს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია**, თუმცა პოზიცია არ დაუსაბუთებია.

პროკურორის პოზიციით, სასამართლოს სასჯელის ისეთი ზომა უნდა გამოეყენებინა, რომელიც სასჯელის მიზნების მიღწევას უზრუნველყოფდა. ასევე, პროკურორმა სასამართლოს ყურადღების გამახვილება თხოვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელის დანიშვნის საფუძვლებზე. აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, პროკურორი არ არის უფლებამოსილი იშუამდგომლოს კონკრეტული სასჯელის სახის და ზომის გამოყენება, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილებაა, რაზეც არც ერთ ინსტანციაში არ იმსჯელა. სასამართლოს არ შეუფასებია ქმედება და მისი შემადგენლობა გენდერული ნიშნით, რა დროსაც აუცილებელია გაითვალისწინოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა დანაშაულის მოტივი, მიზანი, ქმედების განხორციელების ხერხი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება და ა.შ.

ფემიციდის შემთხვევამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაფიქსირებულია შეტყობინებები[34]:

2015 წლის 16 თებერვალს მოქალაქე - პ.პ. მიერ ფიქსირდება შსს საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის გამოძახება. ინიციატორს სურდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის გამოძახება ოჯახურ კონფლიქტთან დაკავშირებით. გამოძახებაზე გავიდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. პატრულ-ინსპექტორმა განუმარტა შემაკავებელი ორდერის შესახებ, რომლის გამოცემაზე მოქალაქე პ.პ.-მ უარი განაცხადა და ითხოვა მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილების მიცემა მოქალაქე ე.პ.-ს მიმართ.

---

[34] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის 2018 წლის 6 მარტის წერილი MIA 5 18 00534919

2015 წლის 27 ოქტომბერს პ.პ.-ს მიერ კვლავ ფიქსირდება შეტყობინება საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის გამოძახებაზე. აღნიშნულზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ შედგა რეაგირების ოქმი. ინიციატორის პ.პ-ს განმარტებით, მას ყოფილ მეუღლესთან ე.პ.-სთან მოუვიდა მცირე უთანხმოება, რაც მოგვარდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის ადგილზე მისვლამდე და პატრულის თანამშრომლის დახმარებაზე უარი განაცხადა.

2. გ.მ.-ს საქმე (თელავის რაიონული სასამართლო, საქმე N1/73-16)

- **ფაქტების აღწერილობა – საქმის ფაბულა**

2016 წლის 8 იანვარს ბრალდების დადგენილების თანახმად, გ.მ-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1], 108 მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის – განზრახ მკვლელობა. ბრალდებული მუდმივად იღებდა ალკოჰოლურ სასმელებს და პარალიზებულ მდგომარეობაში მყოფ დედას აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. 2015 წლის 5 იანვარს მსხვერპლი ჟ. მ. მიყენებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა.

2016 წლის 9 იანვარს სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა.

თელავის რაიონულმა სასამართლომ 2016 წლის 12 ივლისის სექტემბრის განაჩენით გ.მ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1], 117–ე მუხლის მეექვსე ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურებულად ჩათვალა მის მიერ ბრალდების დადგენილებაში მითითებულ ზემოაღნიშნული ქმედების ჩადენა. ვინაიდან, გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, სასამართლომ იხელმძღვანელა სისხლის სამართლის კოდექსის მე-20 მუხლის მეხუთე ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, რაც ჩაეთვალა პირობითად 3 წლის გამოსაცდელი ვადით. მხარეებს განაჩენი არ გაუსაჩივრებიათ.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში გ.მ. 49 წლის იყო, ხოლო ჟ.მ. 67 წლის. გ.მ.-ს მიღებული აქვს საშუალო განათლება და 2016 წელს იყო უმუშევარი. ასევე ირკვევა, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. დანაშაულის ჩადენას არასრულწლოვნები არ შესწრებიან.

- **გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები**

გამოძიება სისხლის სამართლის N043070116001 საქმეზე ინფორმაციის (112 - გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდან მიღებული შეტყობინება) მიღებისთანავე, 2016 წლის 7 იანვარს საქართველოს შსს კახეთის სამხარეო მთავარი

სამმართველოს დეტექტივების განყოფილებაში დაიწყო, სსკ-ის 108-ე მუხლით. ამავე წლის 14 მარტს კვალიფიკაცია შეიცვალა და გამოძიება გაგრძელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1], 117– ე მუხლის მეექვსე პუნქტით.

საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება დროულად, გაჭიანურების გარეშე ჩატარდა. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს. საქმეში იკვეთება, რომ მოძალადე მსხვერპლის ნების საწინააღმდეგოდ თხოვდა ქმედების განხორციელებას – სახლის გადაფორმებას და მიზნის მისაღწევად ფიზიკურად იძალადა, რის შედეგადაც მსხვერპლი ჟ.მ. გარდაიცვალა.

მოწმეთა დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციიდან იკვეთება ბრალდებულის დაზარალებულისადმი დამოკიდებულების/მოპყრობის მოტივი.

მსხვერპლის ოჯახის წევრები (და) და მეზობლები მიუთითებენ, რომ ბრალდებულსა და მსხვერპლს შორის იყო სისტემატიური კონფლიქტი, კერძოდ ბრალდებული თხოვდა სახლის გადაფორმებას, ხოლო კონფლიქტის თავიდან არიდებისა და მსხვერპლის მოვლის მიზნით დამ (ე.მ,-მ) წაიყვანა თბილისში.

მართალია, მსხვერპლის ოჯახის წევრები (და) და მოწმეები მიუთითებენ ხანგრძლივი დროით ძალადობის ფაქტებზე, თუმცა აღნიშნავენ, რომ მსხვერპლს პოლიციისთვის არასდროს მიუმართავს. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით მტკიცებულებების მოპოვება (პოლიციის მხრიდან რეაგირების დოკუმენტები) არ მომხდარა მისი არარსებობის გამო.

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივ დევნას, 2016 წლის 7 იანვარს ბრალდებული დააკავეს სასამართლოს განჩინების გარეშე, შესაძლო მიმალვის საფუძვლით (გასათვალისწინებელია, რომ ბრალდებული დაკავების დროს იმყოფებოდა სოფელში, სახლში, ხოლო ქმედებიდან 3 დღის გასვლის შემდეგ არ მიმალულა და თავისუფლად გადაადგილდებოდა, ამიტომ გაუგებარია, მიმალვის საფუძვლის არსებობას რა განაპირობებდა). მეორე დღეს, გ.მ. დაიკითხა, თუმცა თავი დამნაშავედ არ ცნო.

მიუხედავად, ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე 2016 წლის 14 მარტს ბრალის დადგენილება ხელახლა კვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-117(6) –ე მუხლით.

2016 წლის 12 მარტს მსხვერპლის და (ე.მ.) ცნობილ იქნა დაზარალებულის უფლებამონაცვლედ. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულად ცნობა დროულად არ განხორციელდა, ვინაიდან ორ დღეში ბრალდებულს შეეცვალა დანაშაულის კვალიფიკაცია და მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულის უფლებამონაცვლეს განემარტა უფლებები, მას არ ჰქონდა გონივრული ვადა გაცნობოდა საქმის მასალებს და ჩართულიყო პროცესის მიმდინარეობაში, თუმცა

საქმეში არსებული დოკუმენტებიდან არ ირკვევა მისი პოზიცია სურდა თუ არა მასალების გაცნობა.

- **სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები**

თელავის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 12 ივლისის განაჩენით გ.მ. სასამართლომ დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1], 117-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედებისთვის. მოსამართლეს არ დაუსაბუთებია მტკიცებულებით რა ფაქტი დასტურდებოდა, უბრალოდ მიიჩნია გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებათა ერთობლიობად, ასევე აღნიშნა, რომ **ბრალდებულს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია**, თუმცა პოზიცია არ დაუსაბუთებია ვინაიდან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.

მიუხედავად იმისა, რომ საქმის მასალებს შორის არ იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ძალადობის შესახებ დაფიქსირებული შეტყობინებები, სახალხო დამცველის მიერ შს სამინისტროდან ინფორმაციის გამოთხოვისას, რამდენიმე შეტყობინების შესახებ გვეცნობა.

ფემიციდის შემთხვევამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაფიქსირებული შეტყობინებები[35]

მოქალაქე გ.მ.-ს მიერ დედის ჟ.მ.-ს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებამდე (რამაც გარდაცვალება გამოიწვია) ფიქსირდება შეტყობინება 2012 წლის 27 აგვისტოს. შეტყობინების ინიციატორის მოქალაქე რ.ი.-ს განმარტებით, კონფლიქტი მოუვიდა მოქალაქე გ.მ.-სთან. აღნიშნულზე დაიწყო ადმინისტრაციული საქმის წარმოება, რაზედაც შემდგარი გამოკითხვებით დადგინდა, რომ მოქალაქე რ.ი. სტუმრად იმყოფებოდა მოქალაქე გ.მ.-ს ოჯახში და ადგილი ჰქონდა ერთმანეთთან შელაპარაკების ფაქტს. თუმცა, დანაშულის ნიშნების, ან ადმინისტრაციული გადაცდომის არარსებობის გამო ზემოაღნიშნულ შეტყობინებაზე შეწყდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება.

2012 წლის 19 სექტემბერს მოქალაქე ხ.წ.-ს შეტყობინების საფუძვეზე დაიწყო ადმინისტრაციული საქმისწარმოება. გამოკითხულ იქნა მოქალაქე ჟ.მ., რომელმაც აღნიშნა რომ მისი შვილი გ.მ. სახლში ხშირად ბრუნდება ნასვამ მდგომარეობაში, რის გამოც ერთმანეთში მოსდით კონფლიქტი. ასევე, გამოკითხული და შესაბამისი ოქმით გაფრთხილებულ იქნა მოქალაქე გ.მ. დანაშულის ნიშნების არარსებობის გამო ზემოაღნიშნულ შეტყობინებაზე შეწყდა ადმინისტრაციული საქმის წარმოება.

2013 წლის 3 სექტემბერსაც ფიქსირდება მოქალაქე ხ.წ.-ს შეტყობინება მოქალაქე გ.მ.-ს ოჯახში ძალადობის თაობაზე, თუმცა მიღებულ შეტყობინებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმისწარმოების შესახებ ინფორმაცია/დოკუმენტაცია, შენახვის ვადის გა-

[35] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის 2018 წლის 6 მარტის წერილი MIA 5 18 00534919

სვლის გამო განადგურებულია, ხოლო შს სამინისტროს ელექტრონულ სისტემაში აღნიშნული ინფორმაცია/დოკუმენტაცია დაცული არ არის.

2013 წლის 27 იანვარს დაფიქსირდა შეტყობინება მოქალაქე გ.მ.-ს მიერ დედის ცემის ფაქტზე. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, შსს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დედოფლისწყაროს რაიონულმა სამმართველომ დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N040270113001 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით. საქმეზე დაკითხულ იქნა მოქალაქე ჟ.მ., რომელმაც განაცხადა რომ დაზიანება მიიღო დაცემის შედეგად. დაიკითხნენ გ.მ. და სხვა პირები, ასევე ჩატარდა სხვა საგამოძიებო მოქმედებები. ვინაიდან, არ არსებობდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ნიშნები, საქმეზე შეწყდა გამოძიება.

2013 წლის 7 სექტემბერს დაფიქსირებული შეტყობინების თანახმად, ინიციატორმა ითხოვა სასწრაფო სამედიცინო დახმარება და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის გამოძახება. ქალის გადმოცემით, მოქალაქე ჟ.მ. სცემა შვილმა. შსს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დედოფლისწყაროს რაიონულმა სამმართველომ შეტყობინებაზე დაიწყო ადმინისტრაციული საქმისწარმოება, გამოკითხა ჟ.მ.-ს და ე.მ. და გ.მ. დანაშულის ნიშნების არ არსებობის გამო, შეტყობინებაზე საქმისწარმოება შეწყდა.

2015 წლის 24 აპრილს დაფიქსირდა შეტყობინება ოჯახურ კონფლიქტთან დაკავშირებით (დედა შვილს შორის) და ითხოვეს საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის დახმარება. შსს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს მიერ შეტყობინებაზე დაიწყო ადმინისტრაციული საქმისწარმოება. მოქალაქე ე.მ.-ს განმარტებით გ.მ-მ, მას და ჟ.მ.-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. შეტყობინებასთან დაკავშირებით წერილობით გაფრთხილებულ იქნა გ.მ.

3. ს. ღ.-ს საქმე (თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N 1/ბ-28-17)

- **ფაქტების აღწერილობა - საქმის ფაბულა**

2016 წლის 13 აპრილს თბილისის შსს პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს ქვეგანყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დადგენილი ქმედების ნიშნებით. 2016 წლის 15 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით აღკვეთის ღონისძიების სახით ბრალდებულს შეეფარდა პატიმრობა. აღკვეთის უმაღლესი ღონისძიების, პატიმრობის გამოყენება პროპორციულია, არა მხოლოდ მძიმე დანაშაულის კვალიფიკაციიდან გამომდინარე, არამედ ბრალდებული ადრე რამდენჯერმე ნასამართლებია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ განზრახ დანაშაულში.

2016 წლის 1 დეკემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით ს.ღ.-ს სასჯელის სახით შეეფარდა 10 (ათი) წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ს.ღ. იყო 42 წლის, ხოლო ნ.ს. 35 წლის. დაზარალებულსა და მსხვერპლს თანაცხოვრების შედეგად ჰყავდათ ერთი არასრულწლოვანი შვილი, ხოლო ორი ადრინდელი ქორწინებიდან. (15, 7 და 3 წლის). ს.ღ.-ს მიღებული აქვს საშუალო განათლება, რაც შეეხება სამსახურს ოფიციალურად არ მუშაობს - თვითდასაქმებულია. დანაშაულს არასრულწლოვნები არ შესწრებიან.

• გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

გამოძიება მოცემულ ფაქტზე 2016 წლის 13 აპრილს თბილისის შსს პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს ქვეგანყოფილებაში დაიწყო, საქართველოს სისხლის სამართლის 108-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით ხოლო 14 აპრილს ბრალის დადგენილების თანახმად გადაკვალიფიცირდა 11[1], 108-ე მუხლით, სადაც ხაზგასმულია, რომ ქმედება მოიცავს ოჯახურ დანაშაულის, რომელიც ეჭვიანობის ნიადაგზეა ჩადენილი შურისძიების მოტივით.

გამოძიების დაწყების დღიდან, დროში გაჭიანურების გარეშე ჩატარდა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. მოწმეთა დაკითხვისას იკვეთება, რომ პროკურატურა ცდილობდა ობიექტური ინფორმაციის მიღებას და მოტივის გამოკვეთას, კერძოდ, მოწმეთა ჩვენებაში დაფიქსირებულია, რომ მსხვერპლი განიცდიდა მუდმივ ზეწოლას და ხშირად უნახავთ ფიზიკური ძალადობის შედეგად სხეულზე სხვადასხვა დაზიანებებით.

ბრალდებული დანაშაულს აღიარებს, საქმის მასალებიდან იკვეთება, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების დასრულების შემდეგ ჰქონდა გულგრილი დამოკიდებულება და მსხვერპლის დასახმარებლად არაფერი მოიმოქმედა. აღნიშნული დასტურდება, როგორც ადგილზე მისული პოლიციის თანამშრომლებისგან, ისე მეზობლების ჩვენებებით: „ბრალდებული მოშორებით, დაახლოებით 20 მეტრში იდგა და სიგარეტს ეწეოდა“

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ბრალდებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს არ იმყოფებოდა ფიზიოლოგიური აფექტის ან სხვა არაპათოლოგიურ მდგომარეობაში, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა ბრალდებულის ცნობიერებაზე.

2016 წლის 30 ივლისს დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა მსხვერპლის დედა. საქმის მასალებიდან იკვეთება, რომ იგი ითხოვს ბრალდებულის მიმართ მკაცრი ღონისძიებების გატარებას. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული ვადა განსაზღვრული არ არის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობა განხორციელდა დაგვიანებით, ვინაიდან მასალები სასამართლო პროცესის ეტაპზე – 2016 წლის 7 ივლისს მიეწოდა, როდესაც საგამოძიებო მოქმედებები უკვე დამთავრებული იყო.

• სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები

2016 წლის 19 ივლისს სასამართლო სხდომაზე დაცვის მხარემ გაასაჩივრა მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხი, რის საფუძველზეც მოსამართლემ ინდივიდუალურად შეაფასა მტკიცებულებები და ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ცნო დასაშვებად. აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის ჩვენება, სადაც იგი აღიარებს დანაშაულს მხარეებს სადაო არ გაუხდიათ, რასაც მიენიჭა პრეიუდიციული მნიშვნელობა სსსკ–ს 73-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად.

სასამართლომ იმსჯელა შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებთან დაკავშრებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, რა დროსაც დაადგინა, *რომ დანაშაულებრივი ქმედება მისი მასშტაბების გათვალისწინებით მომეტებული საშიშროების მატარებელია... იგი ერთ–ერთი ყველაზე მძიმე ძალადობრივი ხასიათის დანაშაულია.*

2016 წლის 1 დეკემბერს დაცვის მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, თუმცა 2017 წლის 8 თებერვლის განაჩენით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა.

2017 წლის 13 ივლისს განჩინების თანახმად უზენაესს სასამართლოში საჩივარი განსახილველად არ იქნა დაშვებული.

ფემიციდის შემთხვევამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაფიქსირებული შეტყობინებები[36]

- ✔ 2015 წლის 7 აპრილს 22:15 საათზე ზარის ინიციატორის გადმოცემით, მას ქმარმა მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, ხოლო 22:26 საათზე მსხვერპლის მიერ გაუქმდა აღნიშნული შეტყობინება;

- ✔ 2015 წლის 23 აგვისტოს 19:45 საათზე ზარის ინიციატორის გადმოცემით მას კონფლიქტი ჰქონდა ქმართან. შეტყობინება შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ პატრულ-ინსპექტორები, შემთხვევა ამოწურული იყო და მსხვერპლმა დახმარება აღარ ითხოვა, რის შესახებაც ადგილზე შედგა რეაგირების ოქმი.[37]

---

[36] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის 2016 წლის 20 ივლისის წერილი N 1806361; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2016 წლის 8 ივნისის წერილი N 20/11-1397690

[37] აღნიშნულ ფემიციდის საქმეს, 2016 წელს საქართველოს სახალხო დამცველი, მედია საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, საკუთარი ინიციატივით სწავლობდა

4. ნ.ა.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N 1/4622-16)

- **ფაქტების აღწერილობა – საქმის ფაბულა**

2016 წლის 13 ივლისის ბრალდების დადგენილების თანახმად, ნ.ა.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის, კერძოდ 2016 წლის 12 ივლისს ნ.ა.-მ ეჭვიანობის ნიადაგზე, შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით დანით ყელის არეში მიაყენა ჭრილობა მეუღლეს კ.ი.-ს. 2016 წლის 14 ივლისს სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა. სასამართლო სხდომაზე ბრალდებული დაეთანხმა პროკურატურის შუამდგომლობას.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში ნ.ა. იყო 26 წლის, ხოლო კ.ი. 20 წლის. ოჯახის შექმნისას კ.ი. 13 წლის იყო. მათ 2 არასრულწლოვანი შვილი ჰყავდათ. დანაშაულის ჩადენის დროს შემთხვევის ადგილას იმყოფებოდა კ.ი.-ს არასრულწლოვანი ძმა (11 წლის). საქმის მასალებიდან ასევე ირკვევა, რომ ნ.ა-ს მიღებული ჰქონდა საშუალო განათლება და იყო უმუშევარი. საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნების მიხედვით, ნ.ა.-ს მიერ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება არ დადგინდა. თუმცა ექსპერტიზამ ნ.ა.-ს მიერ ფსიქოტროპული ნივთიერების - ბენზოდიაზებინების ჯგუფის მოხმარების ფაქტი გამოკვეთა.

- **გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები**

გამოძიება სისხლის სამართლის N100130716001 საქმეზე ინფორმაციის (112–დან მიღებული შეტყობინება) მიღებისთანავე, 2016 წლის 12 ივლისს საქართველოს შსს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს I განყოფილებაში დაიწყო, სსკ-ს 11^1-108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის. კვალიფიკაცია არ შეცვლილა საქმის დასრულებამდე.

ყველა შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება დროულად, გაჭიანურების გარეშე ჩატარდა.

მომხდარ ფაქტამდე ორი თვით ადრე მსხვერპლი საცხოვრებლად მშობლებთან გადავიდა. მეუღლემ სთხოვა დაბრუნება, რაზეც უარი განაცხადა, თუმცა აღნიშნა, რომ სურდა მასთან ერთად ცალკე ქირით ცხოვრება. ბრალდებული მსხვერპლს უკრძალავდა მობილური ტელეფონით სარგებლობას და ეჭვიანობდა, რომ ჰქონდა ფარული სასიყვარულო რომანი.

2016 წლის 2 აგვისტოს მ.ი. (მსხვერპლის ბებია) ცნეს დაზარალებულის უფლებამონაცვლედ, მასვე განემარტა უფლებები, თუმცა საქმეში არსებული დოკუმენტებიდან არ ირკვევა პოზიცია – ითხოვს თუ არა ბრალდებულის კანონის სრული სიმკაცრით დასჯას.

• სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები

2016 წლის 17 ოქტომბერს წინასასამართლო სხდომაზე მხარეებმა სადავოდ გახადეს მტკიცებულებები, ხოლო სასამართლომ ადგილზე თათბირით განიხილა და დაამტკიცა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. აქვე აღსანიშნავია, რომ ბრალდებულმა სასამართლო სხდომაზე თავი დამნაშავედ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2017 წლის 24 მარტის განაჩენით ნ.ა. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1], 108-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედებისთვის (განზრახ მკვლელობა). სასამართლომ აღნიშნა, რომ **ბრალდებულს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია**, რაზეც პოზიცია არ დაუსაბუთებია. სასამართლომ ასევე იმსჯელა სასჯელის გამოყენების დასაბუთებაზე და აღნიშნა, რომ „სასჯელის სიმკაცრე ქმედების გასაკიცხაობას უნდა უტოლდებოდეს, რის გამოც სასჯელი უნდა იყოს თანაზომიერი და პროპორციული მსჯავრდებულის პიროვნებასა და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან მიმართებით“ შესაბამისად, სასამართლომ სასჯელის სახედ და ზომად ბრალდებულს განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით.

ფემიციდის ფაქტამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაფიქსირებული შეტყობინებები[38]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით,[39] მკვლელობის ფაქტამდე რამდენიმე საათით (18:59 საათზე) ადრე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ 112-ის სამსახურში დაფიქსირდა შეტყობინება. ზარის ინიციატორი (გარდაცვლილის ბებია) შვილიშვილის მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობაზე უთითებდა და დახმარებას ითხოვდა. მომდევნო ზარის ინიციატორი ბრალდებულია (23:33 საათი), მისი თქმით მეუღლე მოკლა და სურდა პოლიციას ჩაბარებოდა.

დაზარალებულის ბებიის შეტყობინების საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები გაესაუბრნენ შეტყობინების ინიციატორს, რომელმაც განმარტა, რომ მისი შვილიშვილი მეუღლესთან უთანხმოების გამო დროებით მასთან ცხოვრობდა. 2016 წლის 12 ივლისს ბრალდებული მის საცხოვრებელი სახლში მივიდა, სადაც მან შელაპარაკების ნიადაგზე მეუღლეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და სახლიდან გასვლისას ხელი ჰკრა. შეტყობინების ავტორმა მოითხოვა ბრალდებულის გაფრთხილება მის სახლში მისვლისა და ყოველგვარი შეურაცხყოფისგან თავის შეკავების შესახებ. იმავე დღეს პოლიციის თანამშრომლები გაესაუბრნენ მოძალადეს, რომელმაც განაცხადა, რომ მისული იყო ბებიის სახლში, მეუღლესთან მოუვიდა სიტყვიერი შელაპარაკება რის შემდეგაც დატოვა საცხოვრებელი სახლი.

---

[38] აღნიშნულ ფემიციდის საქმეს, 2016 წელს საქართველოს სახალხო დამცველი, მედია საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, საკუთარი ინიციატივით სწავლობდა

[39] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის 2016 წლის 18 აგვისტოს წერილი N 2072147

5. მ.ნ.-ს და გ.ყ.-ს ბრალდების საქმე (თელავის რაიონული სასამართლო, N1/235-16)

- **ფაქტების აღწერილობა - საქმის ფაბულა:**

2016 წლის 7 მაისის ბრალდების დადგენილების თანახმად, მ.ნ.-ს და გ.ყ.-ს დაემგზავრა დაზარალებული ე.გ. გზაში მ.ნ.-მ განიზრახა მისი მოკვლა, გადმოიყვანა მანქანიდან, თავში და სხეულის რამდენიმე ადგილას ჩაარტყა ქვა და მოკლა. მ.ნ.-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით. აღსანიშნავია, რომ ბრალდებულმა პირველი დაკითხვისას მიცემული ჩვენებით დაზარალებულის გაუპატიურებაც აღიარა. თავდაპირველად ბრალდების დადგენილებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის ბრალდების წარდგენა არ მომხდარა, რადგან მოცემულ ეტაპზე არ იყო ექსპერტიზების დასკვნები მიღებული. მოგვიანებით, 2016 წლის 29 ივლისს ბრალდება შეიცვალა და მ.ნ-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით შემდეგი ქმედებისთვის: დაზარალებულის გაუპატიურებისთვის, გაუპატიურების დაფარვის მიზნით, განსაკუთრებული სისასტიკით დაზარალებულის მკვლელობისთვის (ცემა, ქვა არაერთხელ დაარტყა და მანქანა გადაატარა).

2016 წლის 7 მაისს ბრალდების დადგენილების თანახმად, გ.ყ-ს წარედგინა ბრალდება დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით.

თელავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 1 თებერვლის განაჩენით, მ.ნ. დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, სასჯელის დაუნიშნავად, რადგან 2016 წლის 2 ნოემბერს, ბრალდებული პენიტენციურ დაწესებულებაში გარდაიცვალა. ამავე განაჩენით, გ.ყ. დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის და 6 თვის ვადით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის განაჩენით ძალაში დარჩა თელავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 1 თებერვლის განაჩენი გ.ყ.-ს მიმართ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი არ იქნა განხილული, რადგან კასატორმა იშუამდგომლა საჩივრის განუხილველად დატოვება.

საქმის მასალების მიხედვით, დაზარალებული და ბრალდებულები არ იცნობდნენ ერთმანეთს. ბრალდებულის დამატებითი და სასამართლოში მიცემული ჩვენებებით, იცნობდა

დაზარალებულს. დაზარალებული იყო 59 წლის, იყო დაქორწინებული და ჰყავდა 2 სრულწლოვანი შვილი: 36 წლის ი.გ. და 38 წლის გ.გ. ხოლო მ.ნ. 49 წლის იყო. აღნიშნულ ფაქტს არასრულწლოვნები არ შესწრებიან. ასევე ირკვევა, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში მ.ნ. ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მას მიღებული აქვს საშუალო განათლება და იყო უმუშევარი.

• გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

გამოძიება მოცემულ ფაქტზე 2016 წლის 5 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სიღნაღის რაიონულ სამმართველოში, საქართველოს სისხლის სამართლის 143-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით დაიწყო – 4 მაისს დაუდგენელი პირის მიერ ე.გ.-ს თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ფაქტზე. გამოძიებას საფუძვლად დაედო დაზარალებულის მეუღლის შეტყობინება.

გამოძიების დაწყების დღიდან დროში გაჭიანურების გარეშე ჩატარდა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები.

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, 2016 წლის 6 მაისს, 04:00 საათზე მ.ნ. დააკავეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 108-ე მუხლის ბრალდებით იმავე დღეს, 05:00 საათზე დააკავეს გ.ყ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლის ბრალდებით.

ბრალდებულმა მ.ნ.-მ დაკითხვისას აღიარა დანაშაული: გაუპატიურება და შემდეგ თავის და გულმკერდის არეში ქვის დარტყმით მკვლელობა. დამატებითი დაკითხვისას ბრალდებულმა არ აღიარა გაუპატიურება, მისი თქმით, დაზარალებულს იცნობდა და მასთან ნებაყოფლობით ჰქონდა ურთიერთობა. დაზარალებული თხოვდა თანხას, ემუქრებოდა ცოლისთვის შეტყობინებით, რასაც კამათი მოყვა, დარტყმისგან დაეცა და შემთხვევით გადაუარა მანქანით. გ.ყ.-ს ჩვენებით, იგი მთვრალი იყო და არ ახსოვს მომხდარი ფაქტები, მანამდე, მოწმის სახით დაკითხვისას განაცხადა, რომ მ.ნ.-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა ძალადობას დაზარალებულის მიმართ, მ.ნ.-მ მასაც დაარტყა ხელი და მერე არაფერი ახსოვს. როცა გონს მოვიდა, ბრალდებულმა დაზარალებული მანქანის საბარგულში ჩასვა. ორივე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა. პროკურორის შუამდგომლობაში მითითებულია ბრალდებულის 3 ნასამართლობის შესახებ, მათ შორის ქალის ცემის, ძალადობის და მუქარის ფაქტებზე.

2016 წლის 21 მაისს, გონივრულ ვადაში, დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობილი იქნა დაზარალებულის ქმარი და მიეწოდა ინფორმაცის საქმის შესახებ. 3 აგვისტოს, კვალიფიკაციის შეცვლის შემდეგ, განხორციელდა განმეორებით მისი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობა, ასევე, დაზარალებულის უფლებამონაცვლე გაეცნო საქმის მასალებს და ფიქსირდება დაზარალებულის პოზიცია: მკაცრი სასჯელის გამოყენება.

- **სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები**

სასამართლო სხდომაზე ბრალდებულმა თავი არ ცნო დამნაშავედ და აღნიშნა, რომ იცნობდა დაზარალებულს და მასთან მხოლოდ ნებაყოფლობით ჰქონდა სქესობრივი კავშირი ადრეც და შემთხვევის დღესაც. რაც შეეხება გარდაცვალების ფაქტს, ბრალდებულმა განაცხადა, რომ კამათის შედეგად თმაზე მოქაჩა ხელი, დაზარალებული წაიქცა, თავი დაარტყა და როცა ბრალდებული მის მანქანაში ჩასმას ცდილობდა, შემთხვევით მანქანით გადაუარა.

თელავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 1 თებერვლის განაჩენით, სასამართლომ დაადგინა, რომ მ.ნ.-მ გააუპატიურა დაზარალებული და შემდეგ, დანაშაულის დაფარვის მიზნით განსაკუთრებული სისასტიკით მოკლა. მ.ნ. დამნაშავედ იქნა ცნობილი **სასჯელის დაუნიშნავად**, რადგან იგი 2016 წლის 2 ნოემბერს გარდაიცვალა. გ.ყ. დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლით და 6 თვის ვადით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის განაჩენით ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი არ იქნა განხილული, რადგან კასატორმა იშუამდგომლა საჩივრის განუხილველად დატოვება.

6. ბ. ო-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო, N1/4057-16)

- **ფაქტების აღწერილობა - საქმის ფაბულა**

2016 წლის 7 ივნისის ბრალდების დადგენილების თანახმად, ბ.ო.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მე-2 და მე-3 ნაწილებით, 11^1, 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის - 2016 წლის 6 ივნისს, 15 საათზე, თბილისში, შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღიდან, რომელსაც უკანონოდ ინახავდა და ატარებდა, პირდაპირი დამიზნებებით მეუღლეს, ე.ქ.-ს, მიმართა მოკვლის მიზნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 8 თებერვლის განაჩენით, ბ.ო. დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მე-2 და მე-3 ნაწილებით, 11^1, 108-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით. მხარეებს განაჩენი არ გაუსაჩივრებიათ.

ბრალდებული და დაზარალებული იყვნენ დაქორწინებულები, ჰყავდათ ერთი არასრულწლოვანი შვილი (15 წლის). დაზარალებული იყო 35 წლის, ბრალდებული 36 წლის.

არასრულწლოვანი დანაშაულს არ შესწრებია. ბ.ო.-ს არასრული უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული და იყო უმუშევარი. ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იყო თუ არა არ ჩანს (სავარაუდოდ არ ყოფილა), მაგრამ ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით მიღებული ჰქონდა ნარკოტიკული საშუალებები.

• გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

სისხლის სამართლის საქმის გამოძიება მოცემულ ფაქტზე იმავე დღეს, 2016 წლის 6 ივნისს დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტზე. იმავე დღეს, მსხვერპლის გარდაცვალების გამო შეიცვალა კვალიფიკაცია და გამოძიება გაგრძელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები დროში გაჭიანურების გარეშე ჩატარდა. გამოძიების ეტაპზე დაკითხული მოწმეების ჩვენებებიდან იკვეთება დანაშაულის მოტივი:

დაზარალებულის დების: მ. და შ. ქ-ების ჩვენებების თანახმად, დაზარალებულის ქმარი (ბრალდებული) პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ ეჭვიანობდა ცოლზე (რომ მისი ციხეში ყოფნის დროს ჰყავდა მეგობარი მამაკაცი), ჰქონდათ კონფლიქტი, ბრალდებულმა მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, ემუქრებოდა მოკვლით, დაზარალებულს არ სურდა საჩივრის შეტანა და პოლიციისთვის არ მიუმართავს. შესაბამისად, **ოჯახში ძალადობის ისტორიის** დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვება შეუძლებელი იყო. დაზარალებულის თანამშრომელი და ნაცნობი (ბრალდებულის მეგობრის ცოლი) ჩვენებებში მიუთითებენ ბრალდებულის ეჭვიანობაზე (ერთი მათგანი ახსენებს „ავადმყოფურ ეჭვიანობას“, ფსიქოლოგიურ ძალადობას და სიცოცხლის მოსპობის მუქარასაც), ბრალდებულის დედა ჩვენებაში ყურადღებას ამახვილებს დაზარალებულის პირად ცხოვრებაზე. აცხადებს, რომ მისი შვილის ციხეში ყოფნისას დაზარალებული „აღვირახსნილი ცხოვრებით“ ცხოვრობდა. მას შვილმა დაურეკა და უთხრა, რომ ცოლი დაჭრა და პოლიციას უნდა ჩაბარებოდა. მოწმის მტკიცებით, ბრალდებული მკვლელობამდე მიიყვანა ცოლის „აღვირახსნილმა ცხოვრებამ“ („ალბათ, ეჭვიანობდა და ჰქონდა მიზეზი. შეიძლება სიმართლე გაიგო მისი ცოლის შესახებ და ამიტომ მოკლა.“) ბრალდებულისა და დაზარალებულის არასრულწლოვანი (15 წლის) შვილის ჩვენებით, მშობლებს ჰქონდათ კონფლიქტი, რომელიც ბრალდებულის ციხიდან გათავისუფლების შემდეგ გამძაფრდა. მას მიზეზს არ ეუბნებოდნენ, შემთხვევამდე ერთი კვირით ადრე იჩხუბეს და ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ, შემთხვევის დღეს ბრალდებულმა შვილს მიწერა შეტყობინება ტელეფონზე და პატიება სთხოვა.

2016 წლის 2 აგვისტოს დადგენილებით, დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობილია მისი და მ.ქ., რომელიც 25 აგვისტოს გაეცნო საქმის მასალებს. უნდა ითქვას, რომ დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის თაობაზე განჩინება ქმედებიდან თითქმის 2 თვის

შემდეგ არის გამოტანილი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საგამოძიებო მოქმედებების უმრავლესობა პირველივე დღეებში ჩატარდა და შესაბამისად, არსებული მასალებიდან დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსის მინიჭების საფუძველი გამოძიების საწყის ეტაპზე უკვე იკვეთებოდა.

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, ქმედების დღესვე, მოწმის სახით დაკითხვის ოქმის თანახმად, ბ.ო. პოლიციაში გამოცხადდა მისი მეუღლის დაჭრასთან დაკავშირებით.

ბრალდებულმა დაკითხვისას დაადასტურა მოტივი: ციხეში ყოფნის დროს ხვდებოდა, რომ ცოლი ღალატობდა და მეგობარი მამაკაცი ჰყავდა, გათავისუფლების შემდეგ გაიგო, რომ მის ცოლს სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა სხვა პირთან. მან არაერთხელ უთხრა ცოლს განქორწინებულიყვნენ და მისი „სახელი არ შეერცხვინა", მაგრამ დაზარალებული ბოლო დღემდე უარყოფდა, ატყუებდა და სიმართლეს არ ეუბნებოდა. ცოლი მის მამართ იყო გულგრილი, გახშირდა კონფლიქტი. შემთხვევის დღეს დაზარალებულს ტელეფონით გაუგზავნა შეკითხვა, იყო თუ არა მის დაბადების დღეზე 2013 წელს კონკრეტული პიროვნება, რაზეც პასუხად მიიღო, რომ ამაზე საუბარი არ სურდა. ბრალდებულმა გადაწყვიტა დაზარალებულის ნახვა. პირადი საუბრის დროს ცოლს გამოართვა ტელეფონი მისი მიმოწერის შემოწმების მიზნით. დაზარალებულმა დაუდასტურა ზემოაღნიშნულ პირთან ურთიერთობის ფაქტი და თხოვა მისი ცხოვრებიდან წასულიყო. ბრალდებულის მტკიცებით, აღნიშნულმა ძალიან ააღელვა, გაანაწყენა, დაზარალებულს უთხრა, რომ ღალატს არ აპატიებდა და ორივეს მოკლავდა. დაზარალებული ცდილობდა ცეცხლსასროლი იარაღის წართმევას, თუმცა როცა ვერ მოახერხა, გაიქცა. ბრალდებულმა კი რამდენჯერმე ესროლა. რაც შეეხება იარაღის ქონის ფაქტს, ბრალდებულმა მიუთითა, რომ იარაღი ნაქირავებ ბინაში იპოვა, არ იცის ვის ეკუთვნის და შემთხვევის დღეს მამის ბინაში დამალვის მიზნით ჰქონდა. მკვლელობის შემდეგ იარაღი და დაზარალებულის ტელეფონი მტკვარში გადააგდო, მიწერა შვილს, დაურეკა დედას. გადაწყვიტა პოლიციას ჩაბარებოდა. ინანიებს და ითხოვს პატიებას. 2016 წლის 8 ივნისის სასამართლოს განჩინებით, ბ.ო-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა.

• სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები

გასათვალისწინებელია, რომ პროკურორის დასკვნით სიტყვაში დანაშაულის მოტივად მითითებულია შურისძიების მოტივი, ეჭვიანობის ნიადაგზე. ამასთან, არ არის აღნიშნული რამ გამოიწვია ეჭვიანობა - ბრალდებულის მესაკუთრული დამოკიდებულება ცოლისადმი. მითუმეტეს, საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდებოდა.

2017 წლის 8 თებერვლის განაჩენით ბ.ო. დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მე-2 და მე-3 ნაწილებით, 11[1], 108-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით. მხარეებმა

სადავოდ არ გახადეს მტკიცებულებები, რის გამო სასამართლოზე არ მომხდარა მტკიცებულებათა გამოკვლევა. მოსამართლემ უბრალოდ ჩამოთვალა მტკიცებულებები, რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ადასტურებენ ბრალს, თითოეული მათგანის განხილვის ან მტკიცებულებით დადასტურებული ფაქტის აღნიშვნის გარეშე. შესაბამისად, მოტივის განხილვისას ბრალდებულის ქმედების მოტივზე (გარდა ზოგადად მითითებული შურისძიებისა) დაზარალებულისადმი მესაკუთრულ დამოკიდებულებაზე მსჯელობა არ გვხვდება.

ბრალდებულის პოზიციით, არ აქვს მნიშვნელობა სასჯელის ზომას, ყველაზე დიდი სასჯელი საკუთარ თავს თვითონ მიუსაჯა, რადგან დაზარალებული იყო არა მხოლოდ ცოლი და შვილის დედა, არამედ ყველაზე ახლობელი ადამიანი და ყველაზე მეტად უყვარდა. გრძნობს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას შვილის მიმართ და თხოვს პატიებას. „სხვა არაფერი დამრჩენია გარდა იმისა, რომ ვილოცო მისი სულისთვის."

სასჯელის დანიშვნისას მოსამართლემ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელის დანიშვნის საფუძვლები მიუთითა ზოგადად, შემამსუბუქებელი გარემოებად მიიჩნია დანაშაულის აღიარება და მონანიება, ჯანმრთელობის მდგომარეობა (ფსიქიკური ნაკლი), ბრალდებულის ქცევა სასამართლო სხდომებზე და დამოკიდებულება პროცესისადმი, ხოლო დამამძიმებელ გარემოებად რამდენიმე განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლობა, ასევე, ის გარემოებები, რომ ბრალდებულის მიმართ ადრე გავრცელდა არაერთი შეღავათი, ამნისტიის, განაჩენის გადასინჯვის სახით და მიუხედავად ამისა, კვლავ ჩაიდინა დანაშაული.

7. გ. მ.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო, 1/5654-16)

- **ფაქტების აღწერილობა - საქმის ფაბულა**

2016 წლის 18 ოქტომბრის ბრალდების დადგენილების თანახმად, გ.მ.–ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით, ზ.შ.-ს მკვლელობის მცდელობის ფაქტზე. 2016 წლის 14 ოქტომბერს, ბრალდებული შეხვდა დაზარალებულს, რომელსაც იცნობდა 2011 წლიდან პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პერიოდიდან, მის მეგობარ ქალს მ.თ.-სა (რომლისგანაც ელოდება შვილს) და დაზარალებულს შორის არსებული კონფლიქტური სიტუაციის გარკვევისა და მოგვარების მიზნით. შეხვედრისას დაზარალებული იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში, მათ ერთადაც დალიეს ალკოჰოლური სასმელი, რა დროსაც გ.მ.-მ უთხრა ზ.შ.-ს, რომ მ.თ.-სთვის თავი დაენებებინა და მიეცა კონკრეტულ ტერიტორიაზე სექს-მუშაკად მუშაობის საშუალება. გ.მ.-ს ამ ნათქვამზე ზ.შ. გახდა აგრესიული, ამ უკანასკნელს მიმართა შეურაცხმყოფელი სიტყვებით და მოახდინა თავისი სასქესო ორგანოს დემონსტრირება. აღნიშნულზე განაწყენებულმა ასევე ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა დაზარალებულს თავის არეში ჩაარტყა ბეტონის ფილა და განზრახ მოკვლის მიზნით, იქვე არსებული დანა რამდენჯერმე დაარტყა ყელის

არეში. თუმცა დაზარალებული ჯერ კიდევ სუნთქავდა და მოძრაობდა. ბრალდებულმა განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით უკვე მეორედ თავზე გადაამტვრია ბეტონის ფილა, რის შემდეგაც დაზარალებულმა შეწყვიტა მოძრაობა, ხოლო გ.მ. მიიმალა შემთხვევის ადგილიდან.

2016 წლის 22 ნოემბერს, საავადმყოფოში გარდაიცვალა დაზარალებული, რის გამო 2016 წლის 9 დეკემბრის ბრალდების დადგენილების თანახმად, ბრალდება **გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლზე.**

2017 წლის 3 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს **განაჩენით**, გ.მ. დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით.

მოცემულ ეტაპზე განაჩენი დაცვის მხარის მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო წესით.

დაზარალებული (პირადობის მოწმობის მონაცემებით ზ.შ) არის ტრანსგენდერი ქალი - 34 წლის. ბრალდების დადგენილებებში და სასამართლოს განაჩენში ეს გარემოება აღნიშნული არ არის.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში, გ.მ. 31 წლის იყო, ხოლო ზ.შ. 34 წლის. გ.მ.-ს საშუალო განათლება აქვს მიღებული და 2016 წელს იყო უმუშევარი. აღნიშნული ქმედების განხორციელების დროს იგი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

- **გამოძიების სტადიაზე არსებული ხარვეზები**

გამოძიება იმავე დღეს 2016 წლის 14 ოქტომბერს, დაიწყო ზ.შ.-ს განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით.

ჩატარდა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. დაზარალებულად ცნობა განხორციელდა დროულად 2016 წლის 18 ოქტომბერს, ზ.შ. ცნეს დაზარალებულად, მეორე დღეს დაზარალებულის ადვოკატს მოთხოვნის საფუძველზე გააცნეს საქმის მასალები; დაზარალებულის გარდაცვალების შემდეგ, 2016 წლის 10 დეკემბერს, უფლებამონაცვლედ ცნეს დედა რომელმაც საქმის მასალების გაცნობა არ ისურვა.

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივ დევნას, დასაბუთებული ვარაუდით მტკიცებულების მოპოვებისთანავე, 2016 წლის 16 ოქტომბერს, 20:10 საათზე, მ.თ.-ს სახლში სასამართლოს განჩინების გარეშე, დააკავეს ბრალდებული გ. მ. მიმალვის საფუძველით.

მ. თ-მ დამატებითი დაკითხვისას პირველი ჩვენებისგან (ფაქტები მისთვის ცნობილი არ იყო) განსხვავებით აღნიშნა, რომ დაზარალებული უშლიდა იმ სამუშაო ტერიტორიაზე დგომას, რის

შესახებაც უთხრა ბრალდებულს. ბრალდებულმა თავის მხრივ, უთხრა, რომ გაესაუბრებოდა დაზარალებულს და მოაგვარებდა ამ მდგომარეობას. მოწმის თქმით, მასთან ხშირად მოდიოდა ბრალდებული და იცნობდა დაზარალებულს. ბრალდებულმა მოწმეს მოუყვა, რომ სმის დროს მ.თ.-ს მისამართით გინების გამო ბრალდებულმა ცემა დაზარალებული, 2-ჯერ ჩაარტყა თავში ბეტონის ფილა ისე ძლიერად, რომ ფილა გატყდა, „დარტყმით თავი გაუხსნა და ყელი დანით გამოჭრა." მოწმემ, ასევე, მიუთითა ბრალდებულის და დაზარალებულის ნაცნობობის შესახებ პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პერიოდიდან.

ბრალდებულმა დაკითხვისას თავი დამნაშავედ ცნო და განმარტა: მისი მეგობარი ქალი მ. თ, რომელიც მისგან ბავშვს ელოდება მისგან, ბოლო 3 თვეა კონკრეტულ ტერიტორიაზე გადავიდა სექს-მუშაკად სამუშაოდ და უთხრა, რომ სამუშაო ადგილზე დახვდა „არატრადიციული ორიენტაციის მამაკაცი რომელიც თავს უწოდებდა ქალის სახელს". ბრალდებულის თქმით, დაზარალებული მ.თ.-ს ეუბნებოდა, რომ იმ ადგილას თვითონ მუშაობდა და მის გარდა ვერავინ დადგებოდა, ხოლო თუ ისევ გაბედავდა იმ ადგილზე დადგომას, ფიზიკურად გაუსწორდებოდა. ბრალდებულმა აღნიშნა, რომ როდესაც მ.თ.-ს მიაკითხა სამუშაო ადგილზე, დაინახა დაზარალებული „რომელსაც კაბა ეცვა და ქალივით იყო გამოწყობილი", იცნო და გაახსენდა, რომ 2011 წელს ციხეში სასჯელს იხდიდა თვითონ ჩვეულებრივ საკანში, ხოლო დაზარალებული ე.წ. „ქათმების" საკანში, სადაც სხედან არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის კაცები." ბრალდებულის მტკიცებით, თითქმის ყოველდღე მ. ეუბნებოდა, რომ დაზარალებული აყენებდა შეურაცხყოფას. მასთან სასაუბროდ მისულმა ნახა დაზარალებული უცნობ ბიჭთან ერთად. ბრალდებული ხაზგასმით აღნიშნავს დაზარალებულის ჩაცმულობას: ეცვა ქალის ტანსაცმელი და თავზე ჰქონდა პარიკი. უცნობი ბიჭის წასვლის შემდეგ, ბრალდებულმა და დაზარალებულმა დაიწყეს სმა. ბრალდებულმა უთხრა, რომ მ. მისგან ბავშვს ელოდებოდა და აღარ მიეყენებინა შეურაცხყოფა, ხოლო დაზარალებულის სიტყვიერმა შეურაცხყოფამ და შეურაცხმყოფელმა ქმედებამ (სასქესო ორგანოს დემონსტრირებამ) ბრალდებული გაანერვიულა. მან ბეტონის ბლოკი თავში ჩაარტყა დაზარალებულს, რომელიც წაიქცა და პარიკი მოძვრა. იმის გამო, რომ დაზარალებული განაგრძობდა შეურაცხყოფას, ბრალდებული მიხვდა, რომ ვეღარ აცოცხლებდა და მიწაზე დაგდებულ დაზარალებულს ორჯერ ჩაარტყა ყელის არეში დანა, რომელიც დარტყმისგან გაიღუნა, შემდეგ ისევ ბეტონის ბლოკი ჩაარტყა თავში ისეთი ძალით, რომ ბლოკი გატყდა და დაზარალებულს თავი გაუსკდა. ბრალდებული აღნიშნავს, რომ ასეთ შეურაცხყოფას არავის აპატიებდა. დამატებითი დაკითხვისას ბრალდებულმა აღნიშნა, რომ დაზარალებულმა „ძალიან ამაზრზენი შეურაცხყოფა მიაყენა", რამაც მისი აღელვება გამოიწვია და გაიმეტა პრაქტიკულად სასიკვდილოდ"; მოკვლის განზრახვით არ მისულა შემთხვევის ადგილზე და განიცდის აღნიშნულ ფაქტს.

საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები ჩატარდა დროულად და იმ მოცულობით, რაც მოცემული კვალიფიკაციით (სსკ-ის 108-ე მუხლი) წარმოებული სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო და აუცილებელია საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მოპოვებისთვის. თუმცა სავარაუდო სიძულვილის მოტივის დასადგენად არ ჩატარებულა სრულყოფილი

გამოძიება იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გამოძიების პირველივე დღიდან ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია მსხვერპლის მოწყვლადი სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილებასა და გენდერულ იდენტობაზე დაფუძნებულ ჩაგვრაზე მიუთითებდა.

კერძოდ, ბრალდებულის დაკავებიდან მეორე დღეს, 17 ოქტომბერს, პენიტენციური დეპარტამენტიდან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია დაზარალებულის და ბრალდებულის სასჯელის მოხდის დაწესებულებების და დროის შესახებ, ხოლო 20 ოქტომბერს, პენიტენციური დეპარტამენტის წერილით საგამოძიებო ორგანოს უკვე ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბრალდებული და დაზარალებული ერთდროულად იხდიდნენ სასჯელს. ამ მიმართულებით არ ჩატარებულა სხვა საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის, დაზარალებულთან და ბრალდებულთან საკნებში მყოფი პირების დადგენა და მათი გამოკითხვა იმ გარემოების დასადგენად, რა ურთიერთობა ან/და დამოკიდებულება ჰქონდა ბრალდებულს დაზარალებულთან სასჯელის მოხდის პერიოდში. აღნიშნული მნიშვნელოვანია ციხის სუბკულტურის გათვალისწინებით, რადგან ლგბტ+ წარმომადგენლები განიცდიან დისკრიმინაციულ მოპყრობას სხვა პატიმრების მხრიდან.

გამოძიებამ სსიპ „112-დან“ გამოითხოვა ინფორმაცია შევიდა თუ არა შემთხვევის დღეს დაზარალებულისგან შეტყობინება, ამასთან, არ მოუპოვებია ინფორმაცია სხვა დროს ითხოვდა თუ არა დაზარალებული 112-ის საშუალებით პოლიციის დახმარებას მის მიმართ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე და ასეთის არსებობის შემთხვევაში ფიქსირდებოდა თუ არა დაზარალებულის შეტყობინებაში ბრალდებული.

აღსანიშნავია, პროკურორის მითითება გამომძიებელს: 1. დაეკითხათ ა(ა)იპ „ტრანსგენდერ ქალთა თანადგომის ცენტრის“ თანამშრომელი 2. დაედგინათ იმ პირთა ვინაობა და დაეკითხათ პირები, რომლებმაც 2016 წლის 19 ოქტომბერს, ბრალდებულ გ.მ.-ს სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომის პარალელურად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში გამართეს ტრანსგენდერ ქალთა მხარდამჭერი აქცია, გამოეთხოვათ შესაბამისი ჩანაწერები ტელევიზიებიდან; 3. გაეტარებინათ ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები იმ პირის ვინაობის დადგენის მიზნით, ვისთან ერთად მიირთმევდა ალკოჰოლს დაზარალებული შემთხვევის დღეს და დაეკითხათ იგი. გასათვალისწინებელია, რომ ზემოაღნიშნული პირი საქმის მასალების მიხედვით, დადგენილი არ არის, ამასთან, ტელევიზიებიდან გამოთხოვილი და მიღებულია შესაბამისი ვიდეო ჩანაწერები, დაიკითხნენ აქციის მონაწილე ტრანსგენდერი პირები, რომელთა ჩვენებით იცნობდნენ დაზარალებულს, თუმცა საქმისთვის ფაქტობრივ გარემოებზე არაფერი იცოდნენ, მათ შორის, არც მოტივის შესახებ იყო ცნობილი რაიმე ფაქტი.

მოტივის გამორკვევის მიზნით შეკითხვები დაუსვეს ბრალდებულს და მისი ოჯახის წევრებს. ბრალდებულმა კითხვაზე უპასუხა, რომ დაზარალებულის მიმართ მისი სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის ან/და სხვა რაიმე ნიშნის გამო არ გამოუყენებია

ფიზიკური ძალადობა, რადგან აღნიშნული მოტივი განპირობებული იყო პირადული მიზეზით, რაზეც ისაუბრა; ასევე, დაზარალებულს სხვა დროსაც შეხვედრია და მის მიმართ მისი სექსუალური ორიენტაციის გამო რაიმე სიძულვილი რომ ჰქონოდა, მანამდე იძალადებდა და არც მასთან ერთად დალევდა სასმელს.

ბრალდებულის ძმამ შეკითხვაზე: „ხომ არ აღიზიანებდა ბრალდებულს სხვა პირის სექსუალური ორიენტაცია ან/და გენდერული იდენტობა და ხომ არ იწვევდა მასში სიძულვილს?“ უპასუხა, რომ არ შეუმჩნევია ბრალდებულს ვინმეს მიმართ გამოეხატა სიძულვილი ან ზიზღი, განსაკუთრებით, გენდერული იდენტობის მოტივით. მას არასდროს არ გაუმახვილებია ყურადღება მასთან ერთად ვინმეს სექსუალურ ცხოვრებაზე. ბრალდებული არის ტოლერანტი. ანალოგიურად უპასუხეს იმავე შეკითხვაზე ბრალდებულის დედამ და დამ ბრალდებულს არასდროს ჰქონია აგრესია განსხვავებული ორიენტაციის ადამიანების, ტრანსგენდერების მიმართ და გამორიცხეს, რომ ბრალდებულმა გენდერული იდენტობის ან დისკრიმინაციული მოტივით ჩაიდინა ეს დანაშაული.

მოტივის დადგენისთვის ბრალდებულისა (ჩვენების მიცემის ვალდებულება არ აქვს, აქვს დუმილის უფლება) და მისი ახლო ნათესავისთვის (რომლებსაც უფლება აქვთ ახლო ნათესავის წინააღმდეგ არ მისცენ ჩვენება) შეკითხვების დასმა, ხომ არ ჩაუდენია ბრალდებულს დანაშაული სიძულვილის მოტივით, არასაკმარისია. აღსანიშნავია, მოცემული მოწმეების ჩვენების შინაარსის მსგავსება და ასევე, ნაკლებად სავარაუდოა მოქალაქეები ასეთი სამართლებრივი ტერმინებით საუბრობდნენ.

აღსანიშნავია, რომ საქმეში მოიპოვება ა(ა)იპ „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ განცხადება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს მთავარი პროკურორისადმი (განცხადება გამომძიებელს გადაეგზავნა), რომელშიც ორგანიზაციამ მოუწოდა საგამოძიებო ორგანოებს მოცემული საქმის გამოძიების ფარგლებში შეესწავლათ და ყურადღება გაემახვილებინათ ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპებში მოცემულ ფაქტორებზე, რომლებიც შესაძლოა მიუთითებდეს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე (დაზარალებული განსხვავდება ბრალდებულისგან სექსუალური ორიენტაციით და გენდერული იდენტობით, დაზარალებული იმ ჯგუფს განეკუთვნება, რომელზეც ხშირია საზოგადოების ჯგუფების მხრიდან თავდასხმები, ისტორიულად არის მტრობა დაზარალებულის და ბრალდებულის მიკუთვნებულ ჯგუფებს შორის, დაზარალებული შეიძლება განსხვავდებოდეს ბრალდებულისგან გარეგნობით, ტანსაცმლით, ან მეტყველებით, სავარაუდო ქცევა წარსულში და სხვა).

უნდა ითქვას, რომ გამოძიების მიმდინარეობისას ამ საკითხებზე ყურადღების გამახვილება არ მომხდარა, სავარაუდო სიძულვილის მოტივის დასადგენად გამოძიება არასრულყოფილად წარიმართა.

- **სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები**

წინასასამართლო სხდომაზე ბრალდებულმა უდავოდ ცნო მტკიცებულებები, რის გამო არსებითი განხილვის ეტაპზე მათი გამოკვლევა არ მომხდარა. აღსანიშნავია, რომ არსებითი განხილვის ეტაპზე ადვოკატმა იშუამდგომლა მტკიცებულებების გამოკვლევა, რადგან წინა ადვოკატის კონსულტაციის გათვალისწინებით ბრალდებულმა უარი თქვა მტკიცებულებათა გამოკვლევაზე და დაზარალებულის სიცოცხლის მხოლოდ სულიერი აღელვების მდგომარეობაში ხელყოფას აღიარებდა.

ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ მიერ წარდგენილ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში ყურადღება გამახვილდა ეუთოს დოკუმენტში მითითებულ სავარაუდო სიძულვილის მოტივზე მიმანიშნებელ გარემოებებზე. ასევე, იმ საკითხზე, რომ თუ დაზარალებული უმცირესობის წარმომადგენელია, უკვე საკმარისია, რომ საგამოძიებო ორგანომ შეუწყნარებლობის მოტივზე გამოძიება დაიწყოს, მსხვერპლის და დამნაშავის ნაცნობობა და ურთიერთობა არ გამორიცხავს აღნიშნულ მოტივს.

დაზარალებულის ადვოკატმა მიმართა სასამართლოს და მიუთითა, რომ მოტივი სათანადოდ არ გამოკვლეულა, ითხოვა ტრანსფობიური მოტივის გამოკვლევა და თხოვა მხედველობაში მიეღოთ დანაშაულის ჩადენის ადგილი (სადაც დაზარალებული ეწეოდა სექსუალურ მომსახურებას და ხშირად ხდებოდა ძალადობის მსხვერპლი), ბრალდებულის და დაზარალებულის ურთიერთობა ციხეში (ბრალდებულის განცხადება დაზარალებულის ე.წ. „საქათმეში“, ხოლო მისი ჩვეულებრივ საკანში ყოფნის შესახებ, ციხეში ლგბტ+ პირთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გათვალისწინებით), დანაშაულის ჩადენის ხერხი (განსაკუთრებული სისასტიკე).

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 3 თებერვლის განაჩენში ზემოაღნიშნულ საკითხებზე ყურადღება გამახვილებული არ არის. გ.მ. დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით. განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში გადმოტანილია ბრალდების დადგენილებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, მითითებულია, რომ სსკ-ის 108-ე მუხლი გულისხმობს მკვლელობას მაკვალიფიცირებელი გარემოებების გარეშე, მთავარია შედეგის (სიკვდილის) დადგომა, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის, პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით მოქმედება, ხოლო **მოტივი** „მრავალგვარია და შესაძლებელია აღმოცენდეს მაგალითად შურისძიების, ეჭვიანობის, შელაპარაკების ნიადაგზე.“

რაც შეეხება სასჯელის განსაზღვრას, მართალია, მსჯავრდებულს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციის (თავისუფლების აღ-

კვეთა 7-15 წლამდე) ფარგლებში მაღალი სასჯელი (თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით) დაენიშნა, მოსამართლემ საერთოდ არ იმსჯელა იმავე კოდექსის 53-ე მუხლის 3[1] ნაწილით გათვალისწინებულ (განაჩენის გამოტანის დროს მოქმედი რედაქცია) სასჯელის დამამძიმებელ გარემოებაზე: დანაშაულის ჩადენა სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით. განაჩენში აღნიშნულია, რომ მსჯავრდებულს შემამსუბუქებელი გარემოება არ გააჩნია, ხოლო დამამძიმებელი გარემოებაა პირობით მსჯავრის ქვეშ დანაშაულის ჩადენა.

ფემიციდის მცდელობა

8. ა. ტ.-ს საქმე (ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო, საქმე N 1-275/16)

- **ფაქტების აღწერილობა - საქმის ფაბულა**

2016 წლის 20 ივნისის ბრალდების დადგენილების თანახმად, ა.ტ.-მ ყოფილი მეუღლე ნ.ტ. ერთ-ერთი სასაფლაოს ტერიტორიაზე მიიყვანა მოტყუებით, ხოლო, როდესაც გზიდან მოშორებით, განმარტოებული დაიგულა, განზრახ მკვლელობის მიზნით, ჩაქუჩით თავისა და ხელის არეში მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო მრავლობითი ჭრილობა. შესაბამისად, ა.ტ.-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1] – 19. 108 მუხლით.

საქმის მასალებიდან იკვეთება, რომ ბრალდებული აღნიშნული ქმედების ჩადენისთანავე მიიმალა და ცდილობდა თავისი ინტერესების სასარგებლოდ ოჯახის წევრებზე გავლენა მოეპოვებინა, იგი დაზარალებულის დედას უკავშირდებოდა და პოლიციაში ჩვენების შეცვლას თხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდა „შვილს უარესს დავმართებო“. საქმის მასალებიდან ასევე იკვეთება, რომ ა.ტ.-მ ქმედება ჩაიდინა 22:05-22:30 საათზე და მსხვერპლი მომაკვდავი მიატოვა.

2017 წლის 3 აპრილის ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს განაჩენით (რომელიც ბრალ-დებულის მონაწილეობის გარეშე ჩატარდა) ა. ტ.-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა **თავისუფლების აღკვეთა 11 (თერთმეტი) წლის ვადით.**

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ა.ტ. 34 წლის იყო, ხოლო ნ.ტ. - 27 წლის. მათ 3 მცირეწლოვა-ნი შვილი ჰყავდათ.

- **გამოძიების სტადიაზე არსებული ხარვეზები**

გამოძიება მოცემულ ფაქტზე 2016 წლის 11 ივნისს საქართველოს სისხლის სამართლის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით დაიწყო, ხოლო

ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის შედეგად იმავე დღეს, შესაბამისი დადგენილებით გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 11[1] – 108 მუხლით. გამოძიების დაწყების დღიდან დროში გაჭიანურების გარეშე ჩატარდა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. საქმიდან არ იკვეთება, მუქარის ფაქტი გამოეყო თუ არა ცალკე წარმოებად, ან დაიწყო თუ არა აღნიშნულ ქმედებასთან დაკავშირებით გამოძიება.

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, 2016 წლის 20 ივნისს ხელვაჩაურის რაიონულმა პროკურორმა გამოსცა დადგენილება ბრალდებულის ძებნის გამოცხადების შესახებ, ხოლო ამავე დღეს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს განჩინებით ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა, ხოლო ვადის ათვლა განესაზღვრა დაკავების დღიდან.

ბრალდებულის დაკავება და შესაბამისი საპროცესო ღონისძიების ჩატარება დღემდე არ განხორციელებულა, ვინაიდან იგი მიიმალა, კერძოდ ძებნის გამოცხადების შესახებ დადგენილების თანახმად, ბრალდებულმა 2016 წლის 10 ივნისს სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით საზღვარი დატოვა. მართალია, გამოძიების მიმდინარეობის ეტაპზე მოტივისა და დანაშაულის ჩადენის ნიადაგზე უშუალო მითითება არ არის, თუმცა საქმის მასალებიდან აშკარად იკვეთება, რომ გამოძიებამ მსხვერპლი და მოწმეები სრულფასოვნად გამოკითხა: დაადგინა მსხვერპლსა და მოძალადეს შორის ადრე არსებული ურთიერთობის ხასიათი, ბრალდებულის მიერ ადრე გამოვლენილი ძალადობის ფაქტები და ეჭვიანობის ნიადაგი გამოკვეთილია მოწმეთა ჩვენებებში, ასევე დაკითხვის ოქმებში აღინიშნება, რომ ქმედება ჩადენილია შურისძიების მოტივით.

მიუხედავად იმისა, რომ მსხვერპლს ადრე განხორციელებულ ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით პოლიციისთვის ორჯერ ჰქონდა მიმართული, საქმიდან არ იკვეთება მიმართვის შედეგად გატარებული ღონისძიებებისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია.

2016 წლის 20 ივნისს ნ.ტ. ცნობილ იქნა დაზარალებულად, სადაც იკვეთება მისი პოზიცია და ითხოვს მოძალადის უმკაცრესი ზომით დასჯას.

- **სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები**

სასამართლო სხდომა ჩატარდა ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე. პროცესზე მოსამართლემ პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებათა ერთობლიობა ცნო გონივრულ ეჭვს მიღმა, ობიექტურად და დამაჯერებლად, თუმცა განაჩენში აღნიშნა, რომ ბრალდებულს საქმეში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია და შესაბამისად არ უმსჯელია სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლით დადგენილ გარემოებებზე.

ფემიციდის მცდელობის შემთხვევამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაფიქსირებული შეტყობინებები

აღნიშნულ ფემიციდის საქმეს 2016 წელს საქართველოს სახალხო დამცველი, მედია საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, საკუთარი ინიციატივით სწავლობდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დანაშაულის ფაქტამდე დაზარალებულს 2 შეტყობინება (2016 წლის 24 თებერვალს და 2015 წლის 13 მაისს) ჰქონდა გაკეთებული ოჯახში შესაძლო ძალადობის შესახებ. ერთ შემთხვევაში მას შესთავაზეს შემაკავებელი ორდერის გამოწერა, რაზეც უარი განაცხადა. ხოლო მეორე შემთხვევაში ნ.ტ.-მ განაცხადა, რომ მის მიმართ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ფაქტს ადგილი არ ჰქონია.[40]

9. ზ.გ.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/4190-16)

- **ფაქტების აღწერილობა - საქმის ფაბულა**

2016 წლის 29 ივლისის ბრალდების დადგენილების თანახმად, ზ.გ.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1], 115 მუხლით - მსხვერპლისადმი სასტიკი მოპყრობით და მისი პატივისა და ღირსების სისტემატური დამცირებით ოჯახის წევრის თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანის ფაქტზე. ზ.გ. 2015 წლის ივლისიდან 2016 წლის 20 ივლისის ჩათვლით მეუღლეს მ.მ.-ს სისტემატურად ამცირებდა, არ აძლევდა მუშაობის უფლებას, აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას, ურტყამდა სახის და სხეულის არეში, რის გამოც დაზარალებული განიცდიდა ფიზიკურ ტკივილს. სისტემატური დამცირებითა და ძალადობით შეურაცხყოფილი მ.მ. თვითმკვლელობის მიზნით მეტეხის ხიდიდან გადახტა მტკვარში და მხოლოდ დროული სამაშველო და სასწრაფო სამედიცინო დახმარების გაწევის შედეგად გადარჩა.

2016 წლის 30 ივლისს სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

2016 წლის 27 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ ზ.გ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1], 115 მუხლით და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურებულად ჩათვალა მის მიერ ზემოაღნიშნული ქმედების ჩადენა. ზ.გ.-ს სასჯელის სახედ და ზომად 3 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, რაც ჩაეთვალა პირობითად 4 წლის გამოსაცდელი ვადით. მხარეებს განაჩენი არ გაუსაჩივრებიათ.

---

[40] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის 2016 წლის 10 აგვისტოს წერილი N 2005065

საქმის მასალების მიხედვით, ბრალდებული და დაზარალებული იყვნენ ქორწინებაში, ჰყავდათ 3 შვილი (2 სრულწლოვანი, 1 არასრულწლოვანი). დაზარალებული არის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი, არ ფლობს სახელმწიფო ენას, დანაშაულის ჩადენის დროს იყო 39 წლის. ხოლო თავად ზ.გ. 44 წლის. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ზ.გ.-ს საშუალო განათლება აქვს მიღებული და დანაშაულის ჩადენის მომენტში უმუშევარი იყო.

- **გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები**

გამოძიება სისხლის სამართლის N006200716007 საქმეზე ინფორმაციის (საავადმყოფოდან მიღებული შეტყობინება) მიღებისთანავე, 2016 წლის 20 ივლისს, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს პირველ განყოფილებაში დაიწყო, სსკ-ის 115-ე მუხლით. 27 ივლისს, კვალიფიკაცია შეიცვალა და გამოძიება გაგრძელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1], 115 და 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

ყველა შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება დროულად, გაჭიანურების გარეშე ჩატარდა. დაიკითხნენ დაზარალებული (2-ჯერ) და მისი ოჯახის წევრები, სამაშველო სამსახურის თანამშრომლები, ექიმები, პოლიციელები, მოპოვებული იქნა დაზარალებულის სამედიცინო დოკუმენტები, დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა (დასკვნის თანახმად, დაზარალებულის სხეულზე არსებული დაზიანებები მიეკუთვნება მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისთვის სახიფათო. დაზიანებები სისხლნაჟღენთების და ექსკორიაციების სახით განვითარებულია მკვრივი ბლაგვი საგნის ზემოქმედებით და მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს. ხანდაზმულობის დადგენა ვერ ხერხდება).

მოწმეთა დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციიდან იკვეთება ბრალდებულის დაზარალებულისადმი დამოკიდებულების/მოპყრობის მოტივი.

დაზარალებულმა მ.მ.-მ 2016 წლის 27 ივლისს პირველი დაკითხვისას განმარტა, რომ 16 წლის ასაკში ქორწინების შემდეგ „ემსახურება ქმარს და ოჯახს.“ დაადასტურა სისტემატური ცემის და ძალადობის ფაქტები. ასევე, განაცხადა, რომ ქმარი უკრძალავდა გარეთ გასვლას, მუშაობას, ამცირებდა ოჯახის წევრების თანდასწრებით, ფულის თხოვნის გამო ფიზიკურად ძალადობდა. არასდროს მიუმართავს პოლიციისთვის. ამასთან ქმარზე ეჭვიანობდა და სურდა სახლიდან წასვლა, თუმცა ამ შემთხვევაში ბრალდებული შვილების ნახვის აკრძალვით ემუქრებოდა. 29 ივლისს, დამატებითი დაკითხვისას დაზარალებულმა სისტემატურ სიტყვიერ შეურაცხყოფასა და ბოლო ერთი წლის განმავლობაში ცემის ფაქტებზე მიუთითა. ამასთან, ბრალდებულის სიტყვების („დებილის“, „გაუნათლებელის“) გამო თავს დამცირებულად გრძნობდა და არ სურდა სიცოცხლე.

ბრალდებულისა და დაზარალებულის შვილების ჩვენებებით დასტურდება მეუღლეებს შორის ხშირი კამათის, ხმამაღალი საუბრის, ცოლზე ფიზიკური ძალადობის ფაქტები. ამასთან, ე.გ.-მ კონფლიქტის მიზეზად მიუთითა დაზარალებულის ნევროზით დაავადება და ქმარზე

ეჭვიანობა, რასაც ქმარი აგრესიით უპირისპირდებოდა და ხშირად ცემდა ცოლს; ხოლო ს.გ.-მ დაზარალებულის მხრიდან ეჭვიანობის გარდა დაასახელა სხვა გარემოებებიც: ქმარი არ აძლევდა სახლიდან გასვლის და მუშაობის დაწყების უფლებას. მცირეწლოვანი ფ.გ. აცხადებდა, რომ დაზარალებული სახლიდან გარეთ არ გადიოდა, სკოლაშიც ძმა აკითხავდა. ამასთან, ს.გ. 20 ივლისის ცემის ფაქტის თვითმხილველიცაა.

მ.მ. დაზარალებულად ცნეს 2016 წლის 29 ივლისს. მისი დაკითხვა ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე მხოლოდ 27 ივლისს გახდა შესაძლებელი. შესაბამისად, მტკიცებულების (პირდაპირი ჩვენება) მიღების შემდეგ, დროულად განხორციელდა დაზარალებულად ცნობა. გასათვალისწინებელია, რომ დადგენილების თანახმად, მას მიადგა ფიზიკური და მორალური ზიანი. დაზარალებულს ასევე განემარტა უფლებები, თუმცა საქმეში არსებული დოკუმენტებიდან არ ირკვევა მისი პოზიცია სურდა თუ არა მასალების გაცნობა.

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივ დევნას, 2016 წლის 27 ივლისს, დაზარალებულის დაკითხვის შემდეგ, ბრალდებული დააკავეს სასამართლოს განჩინების გარეშე, შესაძლო მიმალვის საფუძვლით (გასათვალისწინებელია, რომ ბრალდებული თბილისში, ერთ-ერთ ქუჩაზე იმყოფებოდა დაკავების დროს, ქმედებიდან 7 დღის გასვლის შემდეგ, არ მიმალულა და თავისუფლად გადაადგილდებოდა, ამიტომ გაუგებარია, მიმალვის საფუძვლის არსებობას რა განაპირობებდა). იმავე დღეს, ზ.გ. დაიკითხა და მან გამოიყენა დუმილის უფლება.

მართალია, დაზარალებული და მოწმეები (შვილები) მიუთითებენ ხანგრძლივი დროით ძალადობის ფაქტებზე, თუმცა აღნიშნავენ, რომ მსხვერპლს პოლიციისთვის არასდროს მიუმართავს. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით (ოჯახში ძალადობის ისტორია) მტკიცებულებების მოპოვება (პოლიციის მხრიდან რეაგირების დოკუმენტები) არ მომხდარა მისი არარსებობის გამო.

2016 წლის 29 ივლისის ბრალდების დადგენილებაში აღნიშნულია ბრალდებულის მხრიდან სისტემატური დამცირება, ფიზიკურ შეურაცხყოფა, მუშაობის აკრძალვა, ამასთან, ყურადღება არ არის გამახვილებული მოტივზე. მითუმეტეს, მტკიცებულებების (დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებები) მიხედვით, შესაძლებელია ბრალდებულის ქმედების მოტივის გამოკვეთაც: ქალზე უფლების ქონის სურვილი, ქალთან შედარებით უპირატესი მდგომარეობა. ქმედების მოტივი ბრალდების დადგენილების შედგენიდან რამდენიმე დღეში (18 აგვისტოს) ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ბრალდებულის დაკითხვის ოქმშიც იკითხება. ბრალდებულის თქმით, ცოლი თხოვდა სამუშაოდ გაეშვა, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდა შემოსავალი „რომ მეუღლეს რაიმე არ მოკლებოდა“. დაზარალებულს განათლების არქონის გამო, მხოლოდ გამყიდველად შეეძლო მუშაობა, რისთვისაც „ცოლი არ ემეტებოდა“. ბრალდებულმა აღიარა, რომ მოცემულ საკითხზე კონფლიქტი სრულდებოდა მისი მხრიდან დაზარალებულის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფით. ის, როგორც „ოჯახის უფროსი“,

ცოლს მისი გადაწყვეტილებებისადმი მორჩილებას თხოვდა და პრეტენზიის გამოხატვისას ფიზიკურად უსწორდებოდა, ხოლო სახლიდან წასვლის შემთხვევაში, შვილების ნახვის აკრძალვის შესახებ აფრთხილებდა. ბრალდებულმა აღიარა 20 ივლისს ცოლის ცემის ფაქტი. აღიარა და მოინანია დანაშაული და პირობა დადო არ განახორციელებდა ფიზიკურ და მორალურ შეურაცხყოფას და ცოლს გაუფრთხილდებოდა.

• სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები

2016 წლის 15 სექტემბერს წინასასამართლო სხდომაზე მხარეებმა სადავოდ არ გახადეს მტკიცებულებები და სასამართლომ დაამტკიცა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები – ბრალდების მხარის ზემოაღნიშნული მტკიცებულებები და დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი შემდეგი დოკუმენტები: 1. დაზარალებული მ.მ.-ს განცხადება, რომლის თანახმად, მეუღლის მიმართ პრეტენზია არ გააჩნდა, მათ შორის ოჯახური ურთიერთობა აღდგა და თანახმა იყო ბრალდებულს საპროცესო შეთანხმება გაფორმებოდა, ვინაიდან ჰყავთ საერთო შვილები და ეწევიან საერთო მეურნეობას, მოწმეების (დაზარალებულისა და ბრალდებულის შვილების: ე. და ს. გ.-ს) განცხადებები, რომელთა თანახმად, მშობლები შერიგდნენ და ითხოვდნენ ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებას და პირობითი მსჯავრის გამოყენებას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, მხარეთა მიერ მტკიცებულებების სადავოდ არ გახდომის გამო, არსებითი განხილვის სხდომაზე მტკიცებულებათა გამოკვლევა არ მომხდარა. ამასთან, ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე პროკურორმა ბრალდების დადგენილებაში მითითებული შინაარსი გაიმეორა მოტივის გარეშე და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა იშუამდგომლა.

2016 წლის 27 სექტემბრის განაჩენით ზ.გ. სასამართლომ დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1], 115 მუხლით ოჯახის წევრის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანაში. განაჩენში ბრალდების დადგენილებაში არსებული გარემოებები დადასტურებულადაა მიჩნეული: ბრალდებული 2015 წლის ივლისიდან 2016 წლის 20 ივლისის ჩათვლით სისტემატურად ამცირებდა დაზარალებულს, არ აძლევდა მუშაობის უფლებას, აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას, ურტყამდა სახის და სხეულის არეში, რის გამო განიცდიდა ფიზიკურ ტკივილს. სისტემატური დამცირებითა და ძალადობით შეურაცხყოფილი თვითმკვლელობის მიზნით გადახტა მტკვარში. მოტივი, ბრალდების დადგენილების მსგავსად, არც განაჩენში არ ფიქსირდება. მიუხედავად იმისა, რომ არსებითი განხილვის სხდომაზე მტკიცებულებათა გამოკვლევა არ მომხდარა, მოსამართლემ არ დაასაბუთა თითოეული მტკიცებულებით რა ფაქტი დასტურდებოდა, უბრალოდ ჩამოთვალა მტკიცებულებები და აღნიშნა, რომ არსებობს გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებათა ერთობლიობა.

რაც შეეხება სასჯელის დანიშვნას, პროკურორის პოზიციით, სასამართლოს სასჯელის ისეთი ზომა უნდა გამოეყენებინა, რომელიც სასჯელის მიზნების მიღწევას უზრუნველყოფდა (არ მოხდეს ახალი დანაშაული, განხორციელდეს რესოციალიზაცია). ასევე, პროკურორმა სასამართლოს ყურადღების გამახვილება თხოვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელის დანიშვნის საფუძვლებზე, ყურადღება გამახვილდა ოჯახში ძალადობით ჩადენილ ქმედებაზე, დაზარალებულის მიერ პოლიციისთვის დიდი ხნის განმავლობაში არ მიმართვის საკითხზე.

არსებითი განხილვის სხდომაზე მოსამართლემ წაიკითხა დაზარალებულის და მოწმეების განცხადებები, რომლითაც მათ სასამართლოს მიმართეს, კერძოდ, დაზარალებულმა მოითხოვა სხდომაზე პოზიციის დაფიქსირება: ბრალდებულის დაპატიმრებით ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა, ბრალდებული არის მარჩენალი, ტვირთი დააწვა მას, უმუშევარს და ავადმყოფს. სასამართლოს მხრიდან მკაცრი ზომების მიღებამ მოსპო ოჯახში კონფლიქტის მშვიდობიანად ამოწურვის შესაძლებლობა. დაზარალებულის განცხადებით, დაავადებულია შიზოფრენიით (არანაირი დოკუმენტი არ არის), აქვს მძიმე ფორმის ნევროზი, ჰალუცინაციები, აკვიატებული აზრები, არ მკურნალობს. მისი მაპროვოცირებელი ქცევით ოჯახში სისტემატურად იძაბება ურთიერთობა. ჰყავს 3 შვილი, მათ შორის ერთი არის არასრულწლოვანი, რომელიც არის ნერვიული, აქვს შიშები, განიცდის მამის დაპატიმრებას. ითხოვა რომ ბრალდებულისთვის არ დაენიშნათ თავისუფლების აღკვეთა. შვილების განცხადებით, ბრალდებულის დაპატიმრების შემდეგ ოჯახი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაშია, ასევე, მათ მცირეწლოვან დას ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუუარესდა, დაეწყო ნერვული შეტევები, ჩავარდა დეპრესიაში, სკოლაში არ დადის, არ ჭამს საჭმელს. ითხოვდნენ, ბრალდებულს სასჯელის სახედ არ დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა.

დაცვის მხარემ ითხოვა პირობითი მსჯავრის გამოყენება იმ საფუძვლით, რომ ბრალდებულმა აღიარა და მოინანია დანაშაული, ითანამშრომლა გამოძიებასთან, შეურიგდა დაზარალებულს, დაზარალებულს ესაჭიროება მკურნალობა. ადვოკატმა მოუწოდა სასამართლოს გამოეყენებინა შესაძლებლობა მშვიდობიანად გაეგრძელებინა ოჯახური ცხოვრება. ადვოკატის თქმით, დაზარალებული არ ეთანხმებოდა მეუღლეს რიგ საკითხებში, რამაც ბრალდებულის ქმედება განაპირობა. ბრალდებულმა მძიმედ განიცადა მომხდარი ფაქტი. მისი თავისუფლების აღკვეთა ეკონომიკურად მძიმე ტვირთად დააწვებოდა მის ოჯახს.

განაჩენის თანახმად, „სასამართლო ითვალისწინებს, რომ ბრალდებული აღიარებს და ინანიებს ჩადენილ ქმედებას, არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, შეურიგდა დაზარალებულს, რომელსაც პრეტენზია არ გააჩნია. ჰყავს მცირეწლოვანი შვილი, რომელსაც როგორც სასამართლოში წარმოდგენილი დოკუმენტით დასტურდება, აქვს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა, მამის დაკავების შემდეგ მისი მდგომარეობა გაუარესდა, აქვს ნერვული შეტევები, ჩავარდა დეპრესიაში, სკოლაში არ დადის და საჭმელსაც თითქმის არ ჭამს. ამასთან, ბრალდებულს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია“. ზემოაღნიშნულ

გარემოებებზე მითითებით სასამართლომ ზ.გ.-ს სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-64 მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

ამასთან, მოსამართლემ ბრალდებულს საბოლოო სიტყვისას განუცხადა, რომ ბრალდებულის მიერ მითითებული გარემოებები შეიძლება განმეორებულიყო, მეუღლე შეიძლება ისე მოქცეულიყო, როგორც იქცეოდა, „იმიტომ რომ ჯანმრთელობის მდგომარეობა ჩანს, რომ მძიმეა და ისედაც ეტყობა."

მოცემულ საქმეში გამოძიება დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დაიწყო, ყველა საჭირო და აუცილებელი საგამოძიებო მოქმედება დროულად ჩატარდა, დაზარალებულად ცნობის დადგენილება გაჭიანურების გარეშეა მიღებული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს მოტივი არ წარმოადგენს, მნიშვნელოვანია მოტივის მითითება ბრალდების დადგენილებაში, მითუმეტეს, როცა მტკიცებულებებიდან ნათლად იკვეთებოდა. შესაბამისად, სასამართლომაც განაჩენში საერთოდ არ იმსჯელა მოცემულ საკითხზე.

რაც შეეხება სასჯელის დანიშვნას, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, პროკურორი არ არის უფლებამოსილი იშუამდგომლოს კონკრეტული სასჯელის სახის და ზომის გამოყენება, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილებაა. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლომ დაზარალებულთან შერიგების საკითხის გარდა უნდა გაითვალისწინოს სხვა გარემოებები: დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედების განხორციელების ხერხი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება და სხვა. ქმედების მოტივზე მსჯელობა და დადგენა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ დისკრიმინაციის შემცველი ნიშნით (მათ შორის, სქესის, გენდერული იდენტობის) შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს.

10. გ.ჯ.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1-2136/16)

- **ფაქტების აღწერილობა - საქმის ფაბულა**

2016 წლის 25 თებერვლის ბრალდების დადგენილების თანახმად, გ.ჯ.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1], 19,108 მუხლით - 2016 წლის 23 თებერვალს, გ.ჯ.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე განიზრახა მეუღლის ნ.გ.-ს მოკვლა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2016 წლის 23 თებერვალს თბილისში მდებარე საცხოვრებელი სახლის ეზოში გ.ჯ-.მ გულმკერდისა და სხეულის სხვა ადგილებში დანის დარტყმით სცადა მეუღლის მკვლელობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 თებერვლის განჩინებით, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 14 სექტემბრის განაჩენით გ.ჯ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1], 19,108 მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

ბრალდებული და დაზარალებული იყვნენ არაოფიციალურ ქორწინებაში, (ბრალდებული იმყოფებოდა ოფიციალურ ქორწინებაში და ჰყავდა 4 შვილი) ჰყავთ საერთო შვილი (მცირეწლოვანი 4 წლის). დაზარალებული არის 33 წლის, ჰყავს 2 შვილი 15 წლის და 3 წლის რომელიც დანაშაულის ჩადენის ფაქტს შეესწრო. ხოლო თავად გ.ჯ. 42 წლის. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ გ.ჯ-ს მიღებული აქვს საშუალო განათლება და მუშაობდა მძღოლად. დანაშაულის ჩადენის მომენტში გ.ჯ. ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

• გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

სისხლის სამართლის N007230216003 საქმეზე გამოძიება შეტყობინების მიღებისთანავე, 2016 წლის 23 თებერვალს დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 108 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

ყველა აუცილებელი და შესაძლო საგამოძიებო მოქმედება გაჭიანურების გარეშე ჩატარდა. ნ.გ.-ს დაზარალებულად ცნობა, დროში გაჭიანურების გარეშე, 2016 წლის 25 თებერვალს მიღებული დადგენილებით განხორციელდა.

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივ დევნას, იმავე დღეს დააკავეს ბრალდებული გ.ჯ. სასამართლოს განჩინების გარეშე, ტანსაცმელზე დანაშაულის ჩადენის აშკარა კვალის არსებობის და შესაძლო მიმალვის საფუძვლით.

ქმედების მოტივთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულებებით იკვეთებოდა ქალის როლთან დაკავშირებული შეხედულებები. კერძოდ, ბრალდებულმა დაკითხვისას განაცხადა, რომ დაზარალებული მისი მეგობარი ქალია, სუფრაზე მოხდა კონფლიქტი დაზარალებულის ძმასა და ბრალდებულს შორის, ნ. ძმის მხარეს იყო, ამაზე გაბრაზებულმა დაზარალებულს შეასხა ღვინო და გავიდა ქუჩაში. როცა სახლში დაბრუნდა დაზარალებულმა მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, განერვიულდა და დანა დაარტყა. მოწმე გ.მ.ს (ტაქსის მძღოლი, ვინც ბრალდებული შემთხვევის ადგილზე მიიყვანა და წამოიყვანა) განცხადებით, ბრალდებულმა, რომელსაც ხელზე სისხლის კვალი ჰქონდა დანა ფანჯრიდან გადააგდო, საუბრობდა ხმამაღლა, რომ უღალატა, საყვარელი ჰყავდა და რისი ღირსიც იყო, ის მიიღოო. მოწმის სახით დაკითხვისას თ.ტ.-მ და რ.ა.-მ, ასევე, დაზარალებულის ძმამ პ.გ.-მ განაცხადეს, რომ ბრალდებულმა დაზარალებულს შენიშვნა მისცა „რამდენს ლაპარაკობო“, უთხრა

წასულიყო სუფრიდან, კაცები დაეტოვებინა მარტო, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და ღვინო შეასხა.

დაზარალებულმა 2016 წლის 26 თებერვალს დაკითხვისას განაცხადა, რომ ბრალდებული იყო აგრესიული, მიმართა შეურაცხმყოფელი სიტყვებით, შეასხა ღვინო. სუფრასთან მყოფებმა ბრალდებულს მისცეს შენიშვნა, რაზეც მან დაზარალებულს უთხრა, რომ არ აპატიებდა და მოკლავდა. უშუალოდ შემთხვევის დროს ბრალდებულმა ჰკითხა, რატომ გაწირა და გააგდო სახლიდან და დანა 3-ჯერ დაარტყა. გასათვალისწინებელია, რომ გამოძიების ეტაპზე დაზარალებულისთვის არ არის დასმული შეკითხვები ძალადობის ფაქტების არსებობის თაობაზე (ოჯახში ძალადობის ისტორიის დასადგენად), ასევე სხვა მოწმეთა მიერ მითითებულ გარემოებებს ქალის როლთან დაკავშირებით ჰქონდა თუ არა ადგილი, კერძოდ, ბევრი ლაპარაკის, სუფრიდან წასვლის და კაცების მარტო დატოვების მოთხოვნას. ამასთან, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით შეკითხვები დაზარალებულს სასამართლოში დაესვა.

• სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები

არსებით სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეული იქნა მტკიცებულებები: დაზარალებულმა განმარტა, რომ ბრალდებული გამოთქვამდა უკმაყოფილებას არაპირდაპირი ფორმით სახლში სტუმრების (ძმის მეგობრები და პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლებული ნათესავი ქალი) ყოფნასთან დაკავშირებით. უთხრა, რომ მეტი არ დაელია, რაზეც ბრალდებულმა უპასუხა, რომ ის ვერ ასწავლიდა რა გაეკეთებინა და შეასხა ღვინო. ამასთან პროკურორის შეკითხვაზე ღვინის შესხმის გარდა ბრალდებულმა რაიმე ხომ არ უთხრა, უპასუხა, რომ არ ახსენდება ბრალდებულს სხვა რაიმე ეთქვას. დაზარალებულის პოზიციით, უყვარს ბრალდებული, დარწმუნებულია, რომ მისი მოკვლა არ სურდა, ჰქონდა კარგი ურთიერთობა და საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე თანახმაა (საქმეში არის შესაბამისი წერილობითი განცხადებაც).

ბრალდებულის განმარტებით, კონფლიქტის მიზეზი იყო არასასურველი სტუმრები (ცოლის ძმის მეგობრები და ცოლის ნათესავი, პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლებული ქალი), ამის გამო ხშირი კონფლიქტი ჰქონდა მეუღლესთან, ჰყავდა გაფრთხილებული და აღნიშნული სტუმრების დახვედრა მიიღო შეურაცხყოფად, მისცა მას შენიშვნა, რასაც მოჰყვა მეუღლის ხმამაღალი შეუფერებელი საუბარი („მანდილოსანისთვის მიუღებელი მაღალი ტონით საუბარი“) და შეასხა ღვინო.

პ.გ.-ს ჩვენებით, დაზარალებული გაეხუმრა ბრალდებულს, რაც შეურაცხყოფად მიიღო და შენიშვნა მისცა. დაიძაბა სიტუაცია და დაზარალებულს შეასხა ღვინო. რ.ა-ს და ტ.თ.-ს ჩვენებებით, დაზარალებულს და ბრალდებულს შორის მოხდა კამათი, შელაპარაკება, კონკრეტული დეტალები და დიალოგის შინაარსი არ ახსოვდათ. გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენებები ბრალდებულის სიტყვების შესახებ სასამართლოზე არ უთქვამთ. შესაბამისად, არც უნდა გაეთვალისწინებინათ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 14 სექტემბრის განაჩენის თანახმად, სასამართლომ გ.ჯ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1], 19, 109 მუხლით. ქმედების მოტივთან დაკავშირებით ბრალდების დადგენილებაში არაფერია მითითებული („ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე განიზრახა მეუღლის მკვლელობა"), ხოლო განაჩენში აღნიშნულია: გამოკვლეული მტკიცებულებები ცხადყოფს ბრალდებულს არ სიამოვნებდა ოჯახში მოცემულ პირთა სტუმრობა, რაც მის მიერ აღქმული იყო მეუღლის მხრიდან შეურაცხყოფად. რასაც დაემატა მის შენიშვნაზე მეუღლის მხრიდან ხმამაღალი შეპასუხება ყველაფერმა ერთობლიობაში კი ბრალდებულში შურისძიების ემოცია გამოიწვია, რამაც მკვლელობის ჩადენისკენ უბიძგა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ არ მიუთითა, რომ შურისძიება სწორედ ქალის როლთან ბრალდებულის მოსაზრებით იყო განპირობებული.

რაც შეეხება სასჯელის დანიშვნას, განაჩენის თანახმად, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ დაზარალებული გადარჩა, სრულიად ჯანმრთელია და ამასთან შერიგებულია მეუღლესთან, დამნაშავე ხასიათდება დადებითად, კმაყოფაზე ჰყავს მრავალსულიანი ოჯახი. სასამართლომ სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

11. ვ.ხ.-ს საქმე (ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო, N1-188/16)

- **ფაქტების აღწერილობა - საქმის ფაბულა:**

2016 წლის 1 აპრილის ბრალდების დადგენილების თანახმად, ვ.ხ.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1], 19,108 მუხლით. ვ.ხ.-მ 2016 წლის 31 მარტს, ბათუმში მდებარე საცხოვრებელ სახლში განზრახ მკვლელობის მიზნით, ყოფილ მეუღლეს მ.ფ.-ს ნაჯახით თავის, ზურგის და ხელის არეში მიაყენა სიცოცხლისთვის სახიფათო მრავლობითი ჭრილობა. განზრახვის სისრულეში მოყვანა ფაქტის შემსწრე პირების მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის და ნაჯახის წართმევის გამო ვერ მოახერხა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 2 აპრილის განჩინებით ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა (განჩინებაში აღნიშნულია, რომ ბრალდებული დაეთანხმა პროკურორის შუამდგომლობას პატიმრობის გამოყენებაზე).

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 7 სექტემბრის განაჩენით ვ.ხ. დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1], 19,108 მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 20 დეკემბრის განაჩენით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. სააპელაციო საჩივარი შეიტანეს მხარეებმა (პროკურორი ასაჩივრებდა სასჯელის ნაწილში, ითხოვდა სასჯელის დამძიმებას).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მაისის განჩინებით, მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

საქმის მასალების მიხედვით, ბრალდებული და დაზარალებული იყვნენ განქორწინებულები, ჰყავდათ 2 საერთო სრულწლოვანი შვილი 30 წლის მ.ხ. და 25 წლის ნ.ხ. დანაშაულის ჩადენის დროს დაზარალებული 52 წლის იყო, ხოლო მსჯავრდებული 56 წლის. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ვ.ხ.-ს მიღებული ჰქონდა საშუალო განათლება და დანაშაულის ჩადენის მომენტში დროებით უმუშევარი იყო.

• გამოძიების სტადიაზე არსებული ხარვეზები

გამოძიება მოცემულ სისხლის სამართლის N173310316002 საქმეზე ინფორმაციის მიღებისთანავე დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1 118 მუხლის პირველი ნაწილით. იმავე დღეს, პროკურორის დადგენილებით შეიცვალა კვალიფიკაცია და გამოძიება გაგრძელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1,19, 108 მუხლით, ასევე, საქმის გამოსაძიებლად შეიქმნა საგამოძიებო ჯგუფი.

ბრალდებული საცხოვრებელ სახლში, სასამართლოს განჩინების გარეშე დააკავეს დანაშაულის ჩადენისთანავე წასწრების და მიმალვის საფუძვლებით. ბრალდებულს აღენიშნებოდა დაზიანებები.

დროში გაჭიანურების გარეშე ჩატარდა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები. 2016 წლის 8 აპრილს, გონივრულ ვადაში, მ.ფ. ცნეს დაზარალებულად. უფლების განმარტებისას მან განაცხადა, რომ არ სურს საქმის მასალების გაცნობა.

რაც შეეხება სრულყოფილ გამოძიებას, გასათვალისწინებელია, რომ დაზარალებულის და ბრალდებულის შვილებმა ნ. და მ. ხ-ებმა დაკითხვისას განაცხადეს ბრალდებულის მხრიდან დაზარალებულის მიმართ სისტემატური ფიზიკური ძალადობის შესახებ. ბრალდებულმაც აღნიშნა შემთხვევამდე არსებული არაერთი კამათის და ჩხუბის შესახებ. დაზარალებულის ჩვენების თანახმად, არაერთხელ დამუქრებია მოკვლით და უცემია, თუმცა ითმენდა შვილების გამო. არ არის შეკითხვა დასმული მიმართავდა თუ არა პოლიციას ძალადობის ფაქტებზე. აღნიშნული მნიშვნელოვანია ერთი მხრივ, ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების განხორციელების შეფასების თვალსაზრისით, მეორე მხრივ, გამოძიების სრულყოფილებისთვის მოეპოვებინათ დაზარალებულის წინა შეტყობინებებზე (ასეთის არსებობისას) განხორციელებული რეაგირების დამადასტურებელი დოკუმენტები. ბრალდებულის მხრიდან სისტემატური ძალადობის და მოცემულ ფაქტებზე პოლიციისთვის შეტყობინების მიუხედავად რეაგირების არქონის შესახებ დაზარალებული სასამართლოსთვის 2016 წლის 08 ივლისს გაგზავნილ განცხადებაში მიუთითებს. შვილებიც ჩვენებაში აღნიშნავენ ძალადობის შესახებ, შესაბამისად, აუცილებელი იყო დაზარალებულის ან/და მისი ოჯახის წევრების პოლიციისთვის მიმართვების/შეტყობინებების და მოცემულ შეტყობინებებზე განხორციელებული რეაგირების ამსახველი დოკუმენტების სრულყოფილად მოპოვება. საქმეში

არის მხოლოდ პოლიციისთვის გაგზავნილი 2 შეტყობინება მოცემულ შეტყობინებებზე რეაგირების ამსახველი დოკუმენტების გარეშე.

გარდა ამისა, მოწმის სახით დაკითხვისას შვილები მიუთითებდნენ ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის უძრავი საკუთრების (სახლის) გამო დავის შესახებ. ასევე, დაზარალებულის ჩვენების მიხედვით, ბრალდებული მოკვლით ემუქრებოდა და ეუბნებოდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ყველაფერი მას დარჩებოდა. აღკვეთის გამოყენების თაობაზე პროკურორი 2016 წლის 1 აპრილის შუამდგომლობაში მიუთითებდა, რომ გამოძიების ინტერესს წარმოადგენდა დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის არსებული წინა კონფლიქტები. ამავე შუამდგომლობის თანახმად, ბრალდებულის მხრიდან დაზარალებულის საკუთრებისადმი გამოხატულ ინტერესს მის მიერ საჯარო რეესტრიდან გამოთხოვილი ინფორმაციები ადასტურებდა და ამ ნაწილში დამატებითი საგამოძიებო მოქმედებები იყო ჩასატარებელი. თუმცა ამ თვალსაზრისით მტკიცებულებების მოპოვება არ მომხდარა. ქმედების მოტივის (ანგარება თუ გენდერული შეუწყნარებლობა) დადგენა მნიშვნელოვანი იყო მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 108-ე მუხლის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი არ არის მოტივი.

გამოძიების ეტაპზე ბრალდებულმა ჩვენებაში 2016 წლის 31 მარტს დაკითხვისას ნაწილობრივ ცნო თავი დამნაშავედ, განაცხადა, რომ ნაჯახი დაზარალებულს შემთხვევით მოხვდა და მკვლელობის განზრახვა არ ჰქონია. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ყოფილ მეუღლეს თხოვდა შერიგებას, ის უარს ეუბნებოდა, „ამოუვიდა ყელში“, იყო გაბრაზებული და ნერვებმა უმტყუნა. დაზარალებული დღესაც უყვარს და მასთან ძველებურად სურს ცხოვრება. სასამართლოში ბრალდებულმა მოტივად ქონებრივი დავა დაასახელა.

• სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები

სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებების თანახმად იკვეთება შემდეგი მოტივი:

დაზარალებულმა განაცხადა, რომ შემთხვევის დროს ბრალდებული ეუბნებოდა, რომ უნდა მოეკლა და სახლი მას დარჩებოდა. განაცხადა, რომ ბრალდებული მას ცემდა და შეურაცხყოფას აყენებდა, სამსახურშიც მიდიოდა მასთან და ეჩხუბებოდა. „ასეთი წესი აქვს მას“ და იმიტომ ცემდა. პროკურორის შეკითხვაზე მიმართავდა თუ არა პოლიციას, დაზარალებულმა უპასუხა, რომ მიმართავდა პოლიციას, რამდენიმე განყოფილება ახსენა, სადაც დაზარალებულის თქმით, არის მისი საქმე, ასევე, ხან პატრული მოდიოდა, ხან უბნის რწმუნებულები (ალბათ, ინსპექტორებს გულისხმობს). მკვლელობის მცდელობის შემდეგ ყოფილმა მეუღლემ სასამართლო წესით მოითხოვა ქონების გაყოფა.

ბრალდებულმა სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ აპირებდა დაზარალებულის მიმართ საჩივრის შეტანას სადავო ქონების გაყოფასთან დაკავშირებით, რაზეც დაზარალებული გაბრაზდა და დაემუქრა. დაზარალებულს ხელში ნაჯახი ეჭირა, ბრალდებული ნაჯახის წართმევას ცდილობდა და ამ დროს წაიქცნენ. დაზარალებული თხოვდა სახლიდან წასვლას,

რადგან სახლი დაზარალებულის სახელზე იყო გაფორმებული. ბრალდებულმა აღნიშნა პოლიციაში ცემის და სიტყვიერი შეურაცხყოფის შესახებ კონკრეტულად გარემოებების დასახელების გარეშე.

პროკურორმა დასკვნით სიტყვაში ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ქონება დაზარალებულს ერიცხებოდა და მისი ინტერესი არ იყო ქონებასთან დაკავშირებული დავა. ბრალდებულის ინტერესი იყო დაზარალებული მოეკლა და ქონება მას დარჩენოდა, რის გამო წინასწარ განზრახულად ჩაკეტა კარი და თავში ნაჯახი ჩაარტყა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 7 სექტემბრის განაჩენით, სასამართლომ დაადგინა, რომ ვ.ხ.-მ ყოფილი მეუღლის მკვლელობა სცადა. ბრალდების დადგენილებასა და განაჩენში არ არის მითითებული დანაშაულის მოტივი. სასჯელის განსაზღვრის ნაწილში მოსამართლემ მიუთითა დამამძიმებელ გარემოებად შურისძიების მიზნით დანაშაულის ჩადენა, თუმცა განაჩენში არ არის მითითებული შურისძიების გამომწვევი მიზეზი და ამ მოტივის დამადასტურებელი მტკიცებულებები. განაჩენში აღწერილია სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებები, მათ შორის, ბრალდებულის (ნაჯახი დაზარალებულს ეჭირა და მისი წართმევის დროს წაიქცნენ), დაზარალებულის (დილით ჭიშკრის გაღებისას თავს დაესხა ბრალდებული და თავის, შუბლის, წელის და ხელის არეში ჩაარტყა ნაჯახი) და თვითმხილველების ჩვენებები, სადაც შურისძიების ან სხვა მოტივზე მინიშნება არ გვხვდება. გარდა დამამძიმებელი გარემოებისა (შურისძიება), სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღო მსჯავრდებულის ასაკი (56 წელი) და ჯანმრთელობის მდგომარეობა და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, ამასთან, განაჩენში მითითებულია, რომ მტკიცებულებები უდავოდ ადასტურებს მ.ფ.-ს განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტს, მათ შორის არსებული კონფლიქტის შედეგად წარმოშობილი შურისძიების მოტივით. ამასთან, არ არის მითითებული კონფლიქტის შესახებ ინფორმაცია.

ფემიციდის მცდელობის შემთხვევამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაფიქსირებული შეტყობინებები

აღნიშნული ფემიციდის მცდელობის საქმეს, 2016 წელს საქართველოს სახალხო დამცველი, მედია საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, საკუთარი ინიციატივით სწავლობდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დანაშაულის ფაქტამდე სამართალდამცავ უწყებაში ოჯახში შესაძლო ძალადობის შესახებ 2013-2015 წლებში 7 შეტყობინება ფიქსირდება. მოწოდებული ინფორმაციით, ვინაიდან აღნიშნული შეტყობინებები სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავდა სამართალდამცავი უწყების მხრიდან რეაგირება არ განხორციელებულა.[41]

[41] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის 2016 წლის 26 ივლისის წერილი N 1859144